დასაქმების პოლიტიკის დაგეგმვისა და განხორციელების 2025 წლის ანგარიში

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
2026 წ.

სარჩევი 4
შესავალი 4
დასაქმების ხელშეწყობის სისტემა და ინსტიტუციური ჩარჩო 5
საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო 5
სსიპ - დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტო 6
1. სსიპ - დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს ინსტიტუციური განვითარება 7
1.1 საკადრო რესურსების განვითარება 7
1.2 კვლევითი და ანალიტიკური საქმიანობა 8
1.3 პარტნიორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა და დონორებთან კოორდინაცია 10
2. დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამა 11
2.1 დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამების დეტალური მონაცემები 11
2.1.1 სამუშაოს მაძიებელთა რეგისტრაცია, პროფილირება და კონსულტირება 12
2.1.1.1 ინდივიდუალური კონსულტირება 13
2.1.1.2 ჯგუფური კონსულტირება 13
2.1.1.3 მობილური ჯგუფები 14
2.2 სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლება 15
2.2.1 სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება და პროფესიული გადამზადება 16
2.2.2. სტაჟირება 17
2.3 საშუამავლო მომსახურება და დამსაქმებელთან ურთიერთობა 19
2.3.1 დასაქმების ფორუმები 19
2.3.2 დამსაქმებლებთან ურთიერთობა 20
2.3.3 მოწყვლადი და დაბალკონკურენტიანი სამუშაოს მაძიებელთა დასაქმების ხელშეწყობა 21
3. სოციალურად დაუცველ სამუშაოს მაძიებელთა საზოგადოებრივ სამუშაოზე დასაქმება 22
4. შრომითი მიგრაციის სახელმწიფოთაშორისი სქემების განხორციელება 23
5. შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემის "Worknet"-ის განვითარება 24
საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო 25
1. სსიპ - აწარმოე საქართველოში 25
1.1 სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში" უნივერსალური ინდუსტრიული ნაწილი 25
1.2 საკრედიტო საგარანტიო სქემის სახელმწიფო პროგრამა 26
1.3 მიკრომეწარმეობის ხელშეწყობის პროგრამა 26
საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო 26
1. პროფესიული განათლების მიმართულება 26
1.1 პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის ზრდა 28
1.2 კვალიფიკაციების შემუშავება და გადამუშავება ახალი მეთოდოლოგიის შესაბამისად 28

1.3 პროფესიული განათლების მართვის თანამედროვე სისტემა 28
1.4 მრავალფეროვანი საგანმანათლებლო პროგრამები პროფესიულ განათლებაში 29
1.5 პროფესიულ განათლებაში დასაქმების ხელშემწყობი სერვისების განვითარება 29
1.6 სტუდენტური სერვისების განვითარება 30
1.7 კვლევითი კომპეტენციების გაძლიერება პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში 30
2. ზოგადი განათლების მიმართულება 31
3. უმაღლესი განათლების მიმართულება 31
საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო 32
1. სსიპ - გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი 33
2. ა(ა)იპ - სოფლის განვითარების სააგენტო 34
2.1 შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტი 34
2.2 სახელმწიფო პროგრამა „დანერგე მომავალი“ 34
2.3 აგროდაზღვევის პროგრამა 35
2.4 გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების პროექტი 36
2.5 ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამა „ქართული ჩაი“ 36
2.6 სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის თანადაფინანსების სახელმწიფო პროგრამა 36
2.7 მერძევეობის დარგის მოდერნიზაციისა და ბაზარზე წვდომის სახელმწიფო პროგრამა (DIMMA) ... 37
2.8 კოოპერატივების ხელშეწყობის პროგრამები 37
2.9 პროექტების ტექნიკური მხარდაჭერის პროგრამა 37
2.10 ბიოწარმოების ხელშეწყობის პროგრამა 38
2.11 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისთვის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის თანადაფინანსების სახელმწიფო პროგრამა 38
2.12 ფერმათა/ფერმერთა რეგისტრაციის პროექტი 39
მუნიციპალიტეტები 41

შესავალი

დასაქმება წარმოადგენს ეკონომიკური განვითარების და სიღარიბის შემცირების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საფუძველს, ასევე ადამიანის ცხოვრების ხარისხის, პიროვნული რეალიზაციისა და საზოგადოების პროგრესის განმსაზღვრელ ფაქტორს. დასაქმების პროცესი ბუნებით არის ცვალებადი და მრავალგანზომილებიანი; იგი დამოკიდებულია ეკონომიკური ზრდის ტემპზე, სტრუქტურულ თავისებურებებსა და განვითარების მოდელზე.

შრომის ბაზრის ეფექტიან ფუნქციონირებას უზრუნველყოფს დასაქმებულთა უფლებების დაცვის ქმედითი აღსრულება და ღირსეული შრომის პრინციპების დამკვიდრება, პროფესიული განათლების მიზნობრივი და ეფექტიანი პოლიტიკა, რათა შრომის ბაზარზე მოთხოვნა-მიწოდებას შორის არსებული დისბალანსი შემცირდეს და გაიზარდოს სამუშაო ძალის კონკურენტუნარიანობა. ამასთან, დასაქმების პოლიტიკაში ცენტრალური მნიშვნელობა ენიჭება ბიზნესის მხარდაჭერას, როგორც სამუშაო ადგილების შექმნის ძირითად წყაროს.

ყოველივე ზემოაღნიშნული საჭიროებს სახელმწიფოს მხრიდან კომპლექსურ და კოორდინირებულ მიდგომას, რაც გულისხმობს როგორც სახელმწიფო უწყებებს შორის ერთიანი პოლიტიკისა და თანმიმდევრული მოქმედების უზრუნველყოფას, ისე სხვადასხვა მხარის კონსოლიდირებულ და შეთანხმებულ ძალისხმევას.

წინამდებარე ანგარიში ასახავს საქართველოში 2025 წელს პასუხისმგებელი უწყებების მიერ დასაქმების პოლიტიკის ფარგლებში განხორციელებულ ღონისძიებებს, პროგრამებსა და მიღწეულ შედეგებს. დოკუმენტი მოიცავს ინსტიტუციურ, პროგრამულ და რაოდენობრივ მაჩვენებლებს და ამ მაჩვენებლების შედეგების საფუძველზე დასაქმების სფეროში გამოვლენილ ტენდენციებსა და მიგნებებს, ასევე ინფორმაციას სამომავლო გეგმებისა და აქტივობების შესახებ.

დასაქმების ხელშეწყობის სისტემა და ინსტიტუციური ჩარჩო

2020 წლის 14 ივლისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო საქართველოს კანონი „დასაქმების ხელშეწყობის შესახებ“ (შემდგომ - კანონი), რომლის მიზანია საქართველოს მოქალაქეთა დასაქმების ხელშეწყობა, შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკის განხორციელება, თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის განვითარების მხარდაჭერა, აგრეთვე საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მცხოვრები მოქალაქეებისათვის დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამებზე თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

კანონი აწესრიგებს დასაქმების ხელშეწყობასთან დაკავშირებულ სახელმწიფო საქმიანობას და განსაზღვრავს შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკისა და დასაქმების ხელშეწყობის სფეროში პასუხისმგებელ ინსტიტუტებსა და მათ კომპეტენციებს, რომელთა შორისაა:

- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;
- საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო;
- საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო;
- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო;
- სსიპ - დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტო;
- მუნიციპალიტეტები.

წინამდებარე ანგარიშში აისახა დასაქმების ხელშეწყობის მიზნით ამ სახელმწიფო უწყებების მიერ განხორციელებული აქტივობები და ღონისძიებები 2025 წლის განმავლობაში.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო (შემდგომ - სამინისტრო) უზრუნველყოფს შრომის ბაზარზე თანაბარი შესაძლებლობების ხელშეწყობისთვის ნორმატიული ინსტრუმენტების შემუშავებას და დამტკიცებას, დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების, აგრეთვე სექტორული სტრატეგიებისა და სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული - სსიპ - დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს გეგმებისა და პროგრამების შესრულების მონიტორინგს, დასაქმების სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის მიზნით პროექტების განხორციელებასა და შეთანხმებების მომზადებას, შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკის განხორციელების ხელშეწყობას.

სამინისტრო კოორდინირებულად მუშაობს ყველა უწყებასთან, რომელიც დაკავშირებულია დასაქმების მომსახურებათა განვითარებასთან, მათთან ერთად სამინისტრო შეიმუშავებს და განავითარებს პოლიტიკის დოკუმენტებს, სტრატეგიებს, წარმართავს კოორდინირებულ ცნობიერების ამაღლების კამპანიებსა და სხვადასხვა საგანმანათლებლო საქმიანობებს.

კანონით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების მიზნით, სამინისტრომ არაერთი ღონისძიება განახორციელა. შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატთან მჭიდრო თანამშრომლობის ფარგლებში, სამინისტრო ჩართულია ეთნიკური უმცირესობებისთვის გამართულ საინფორმაციო კამპანიებში. 2025 წელს, ისევე როგორც სხვა წლებში, ეთნიკური უმცირესობების დასახლებებში ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრები (2 შეხვედრა), რომლის დროსაც ადგილობრივ მოსახლეობას მიეწოდა ინფორმაცია სოციალური და დასაქმების ხელშემწყობი პროგრამების შესახებ.

მომსახურებათა ეფექტური მიწოდების მიზნით სამინისტრომ დაიწყო ყველა მის კომპეტენციაში შემავალ მომსახურებათა ერთ ადგილზე მიწოდების ე.წ. „ერთი ფანჯრის პრინციპით“ განხორციელება. აღნიშნული მიდგომა აერთიანებს სოციალურ, ჯანმრთელობის დაცვის და შრომა-დასაქმების მომსახურებებს, რათა მოქალაქეებისათვის მისაწვდომი გახდეს ყველა საჭირო სახელმწიფო მომსახურება. „ერთი ფანჯრის პრინციპი“ გულისხმობს როგორც ერთიან ფიზიკურ სივრცეს, ისე მომსახურების ერთიან სტანდარტებს. ასევე, ინერგება შრომის ბაზრის მართვის ახალი საინფორმაციო სისტემა, რომელიც დასაქმების მომსახურებათა უფრო ეფექტური მიწოდების შესაძლებლობას ქმნის.

კანონის თანახმად, სამინისტროს უფლებამოსილებას განეკუთვნება სსიპ - დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოსთან თანამშრომლობით, როგორც „დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის“ შემუშავება/განვითარება, ისე მისი განხორციელების ზედამხედველობა და შედეგების ანალიზი. ამ მიზნით დაწყებულია მუშაობა 2025 წლის დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში დამტკიცებული ქვეპროგრამების შესრულების მდგომარეობის ანალიზის მოსამზადებლად.

სსიპ - დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტო

სსიპ – დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტო (შემდგომ - დასაქმების სააგენტო) თავის საქმიანობას ახორციელებს კანონის, ასევე საქართველოს მიერ რატიფიცირებული შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონვენციების: "დასაქმების პოლიტიკის შესახებ" 1964 (No. 122) და "დასაქმების სამსახურის ორგანიზების შესახებ" 1948 (No. 88) საფუძველზე. დასაქმების სააგენტო წარმოადგენს სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს.
მისი საქმიანობა მიმართულია ქვეყნის მასშტაბით შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკის განხორციელებისა და დასაქმების ხელშეწყობისკენ.

დასაქმების სააგენტო უზრუნველყოფს სამინისტროს მიერ შემუშავებული და საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული სახელმწიფო პროგრამების განხორციელებას, რომლებიც მიზნად ისახავს მოსახლეობის დასაქმების ხელშეწყობას, განსაკუთრებით კი მოწყვლადი ჯგუფების წარმომადგენელი სამუშაოს მაძიებლების მხარდაჭერას და მათი შრომის ბაზარზე ინტეგრაციას.

დასაქმების სააგენტოს საქმიანობა ეფუძნება შემდეგ სტრატეგიულ მიზნებს:

- შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკის განვითარება და განხორციელება;
- სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული უნარებისა და კვალიფიკაციის გაუმჯობესება;
- მოწყვლადი და დაბალკონკურენტიანი ჯგუფების მხარდაჭერა;
- დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებების ხელმისაწვდომობის გაზრდა ქვეყნის მასშტაბით;
- შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისი პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამების განვითარება;
- დასაქმების შესაძლებლობების გაფართოება როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო შრომის ბაზრებზე.

1. დასაქმების სააგენტოს ინსტიტუციური განვითარება

დასაქმების სააგენტო, რომელიც ფუნქციონირებს 2020 წლიდან, ეტაპობრივად ვითარდება. დასაქმების სააგენტოს წინაშე დასმული ამოცანებისა და ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად, იცვლება მისი ფუნქციები და სტრუქტურა.

2022 წელს შემუშავდა ინსტიტუციური განვითარების 2022-2024 წლების სამოქმედო გეგმა. გეგმის შედგენას წინ უძღოდა ევროკავშირის ტექნიკური დახმარების ჯგუფის ექსპერტების მიერ ჩატარებული კვლევები. კვლევის შედეგად გამოვლენილი საჭიროებებისა და იდენტიფიცირებული გამოწვევების გათვალისწინებით, დასაქმების სააგენტო ყოველწლიურად ახორციელებს დაგეგმილ რეფორმებსა და აქტივობებს. 2023-2025 წლებში გაგრძელდა ორგანიზაციული და სტრუქტურული ცვლილებები.

გარდა ამისა, დასაქმების სააგენტოს ინსტიტუციური განვითარებისთვის კონკრეტული ღონისძიებები ასევე განსაზღვრულია ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკთან გაფორმებული სასესხო შეთანხმებით გათვალისწინებული „ადამიანური კაპიტალის განვითარების“ პროგრამის ფარგლებშიც. აღნიშნული პროგრამა, სხვა აქტივობებთან ერთად, ითვალისწინებს თბილისსა და რეგიონებში სრულფასოვნად აღჭურვილი და საჭირო სპეციალისტებით სრულად დაკომპლექტებული მომსახურების ცენტრების არსებობას.

2025 წელს გაგრძელდა დასაქმების სააგენტოს ოფისების სრულად დაკომპლექტება. ადამიანური კაპიტალის განვითარების პროგრამით გათვალისწინებული სტანდარტის შესაბამისად გაიხსნა იმერეთის და შიდა ქართლის მომსახურების ცენტრები. მათ შორის, 2025 წელს სერვისის მიწოდება შესაძლებელი გახდა დამატებით 9 მუნიციპალიტეტში.

საანგარიშო პერიოდში დასაქმების მომსახურებათა ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, ჩატარებული კვლევებისა და შეფასებების საფუძველზე გადაიხედა დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამები. აღნიშნული პროცესის მიზანი იყო პროგრამების ეფექტიანობის გაზრდა, სამუშაოს მაძიებელთა საჭიროებებზე უკეთ მორგება და შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობის გაძლიერება.

2025 წელს „შრომითი მიგრაციის შესახებ“ საქართველოს კანონში და საქართველოს მთავრობის შესაბამის დადგენილებებში შეტანილი ცვლილებების შედეგად, დასაქმების სააგენტოს დაეკისრა ახალი უფლებები და ვალდებულებები, მათ შორის, შრომითი იმიგრანტებისთვის შრომითი საქმიანობის უფლების

გაცემასთან, საშუამავლო ორგანიზაციების საზღვარგარეთ დასაქმების საქმიანობის ანგარიშგებასა და სერტიფიცირებასთან დაკავშირებული ფუნქციები.

დასაქმების სააგენტოს ფუნქციების ზრდის გათვალისწინებით, საჭირო გახდა არსებული ორგანიზაციული სტრუქტურის განახლება, რაც ითვალისწინებს, როგორც შრომითი მიგრაციის მიმართულებით ახალი სტრუქტურული ერთეულის ჩამოყალიბებასა და დასაქმების სააგენტოს სტრუქტურის ოპტიმიზაციას.

2025 წელს გაგრძელდა გაეროს ქალთა ორგანიზაციის პროექტი „ქალთა ეკონომიკური გაძლიერება სამხრეთ კავკასიაში", შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (SDC) და ავსტრიის განვითარების სააგენტოს მხარდაჭერით (ADC). შედეგად, წლის პირველ ნახევარში გადაიხედა ინდივიდუალური კონსულტირების სერვის-მოდელი/მეთოდოლოგია და განახლდა გენდერული სენსიტიურობის კუთხით.

2025 წელს ცნობადობის გაზრდის მიზნით დასაქმების სააგენტომ არაერთი აქტივობა განახორციელა. ასევე სახელმწიფო უწყებებთან და პარტნიორებთან ურთიერთობების გაღრმავებისა და დასაქმების სააგენტოს სერვისებისა და პროგრამების ხელმისაწვდომობის ფარგლებში გაიმართა 500-მდე ღონისძიება და საინფორმაციო/საკონსულტაციო შეხვედრა.

შეიქმნა და დაიხვეწა დასაქმების სააგენტოს ახალი ვებგვერდი sesa.moh.gov.ge, რომელიც ხელმისაწვდომია ეთნიკური უმცირესობებისთვის სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე.

1.1 საკადრო რესურსების განვითარება

დასაქმების სააგენტო მუდმივად მუშაობს ადამიანური რესურსების განვითარების მიმართულებით. 2021 წლიდან დასაქმების სააგენტო, თანამშრომელთა პროფესიული განვითარების მიზნით, პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად ახორციელებს სხვადასხვა აქტივობებს.

2025 წელს, დასაქმების სააგენტოს თანამშრომელთა პროფესიული განვითარების მიზნით ჩატარდა ტრენინგები თემაზე: სამართლიანი და ეთიკური დასაქმება, პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკითხები და საკანონმდებლო სიახლეები, ასევე გენდერულად მგრძნობიარე მიდგომები (გაეროს ქალთა ორგანიზაციებისა და საერთაშორისო პარტნიორების მხარდაჭერით). გარდა ამისა, ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილი ტექნიკური დახმარების პროგრამის ფარგლებში („Expertise France"), თბილისსა და შიდა ქართლში გაიმართა დასაქმების კონსულტირების ტრენინგები, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს რეგიონული სერვის ცენტრების კონსულტანტებმა. ტრენინგები მიზნად ისახავდა კონსულტირების ხარისხის გაუმჯობესებას, მომხმარებელზე ორიენტირებული მიდგომის გაძლიერებასა და ეფექტიანი კომუნიკაციისა და მომსახურების უნარების განვითარებას.

ტრენინგების გარდა, დასაქმების სააგენტოს თანამშრომლებს დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერით, საშუალება მიეცათ გაცნობდნენ აზიის და ევროპის ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკას.

2025 წელს, აზიის განვითარების ბანკის (ADB) დაფინანსებით, სამუშაო ვიზიტი შედგა კუნმულ ჰონგ-კონგზე (ტაილანდი) თემაზე: „სოციალური დაცვის მონაცემები და მონიტორინგი"; ევროპის ტრენინგის ფონდის (ETF) ორგანიზებით კი - ვარშავაში (პოლონეთის რესპუბლიკა), თემაზე: „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დასაქმება".

1.2 კვლევითი და ანალიტიკური საქმიანობა

დასაქმების სააგენტო პერიოდულად ახორციელებს შრომის ბაზრის მოთხოვნის რეგულარულ მონიტორინგს, რომელიც მოიცავს შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემაში რეგისტრირებული

ვაკანსიების ანალიზსა და დამსაქმებლების გამოკითხვას. აღნიშნული პროცესი უზრუნველყოფს ინფორმაციის შეგროვებას არა მხოლოდ არსებულ, არამედ მომავალ ვაკანტურ პოზიციებზე, დაგეგმილ დასაქმებასა და მოთხოვნად უნარებზე. შრომის ბაზრის მოთხოვნის შეფასება გამოიყენება მოთხოვნადი პროფესიებისა და კვალიფიკაციების იდენტიფიცირებისთვის, ასევე დასაქმების პროგრამების, პროფესიული განათლებისა და გადამზადების პოლიტიკის დასაგეგმად.

ვაკანტურ პოზიციებზე არსებული მონაცემები მუშავდება პროფესიის საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორის (ISCO-08) ძირითადი ჯგუფებისა და ეკონომიკური საქმიანობის NACE კლასიფიკაციის მიხედვით.

2025 წელს მონაცემები შეგროვდა როგორც შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემაში დარეგისტრირებული ვაკანსიებიდან, ასევე სხვადასხვა ონლაინ წყაროებიდან, მათ შორის საჯარო და კერძო ვაკანსიების პორტალებიდან. დარეგისტრირებული ვაკანსიებისა და ონლაინ წყაროებიდან მიღებული მონაცემების შედარებითი ანალიზის საფუძველზე გამოვლინდა შრომის ბაზრის არსებული მოთხოვნადი პროფესიები. ანალიტიკური საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით, დასაქმების სააგენტოში შეიქმნა სტრუქტურული ქვედანაყოფი - კვლევების, ანალიტიკის და დასაქმების პროგრამებისა და სერვისების განვითარების დეპარტამენტი.

1.3 პარტნიორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა და დონორებთან კოორდინაცია

დასაქმების სააგენტოს ერთ-ერთ მთავარ ამოცანას წარმოადგენს პარტნიორ და დონორ ორგანიზაციებთან ეფექტიანი თანამშრომლობის მექანიზმის განვითარება. ამ მიზნით დასაქმების სააგენტოს აქტიური კომუნიკაცია აქვს სხვადასხვა დონორ, პარტნიორ ორგანიზაციასთან და ჩართულია პროექტების განხორციელებაში.
„საქართველოს ადამიანური კაპიტალის“ პროგრამის განხორციელების მიზნით, 2022 წელს „საქართველოსა და რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკს შორის ხელი მოეწერა სასესხო შეთანხმებას. პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებები, მიზნად ისახავს ოთხი ძირითადი მიმართულებით დაგეგმილი შედეგებისა და ინდიკატორების მიღწევას:

1. განათლების, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის დანახარჯების ეფექტიანობის გაუმჯობესება შესაბამისი ადმინისტრაციული და ფინანსური მექანიზმების დამტკიცებისა და განხორციელების მეშვეობით.
2. სერვისების მიმწოდებელ დაწესებულებებში არსებული სერვისებისთვის შესაბამისი ხარისხის სტანდარტის დამტკიცება და განხორციელება.
3. სოციალური დაცვის სერვისებში ღარიბი და მოწყვლადი ადამიანების ჩართულობის ზრდა.
4. ციფრული სერვისების განვითარება განათლების, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სისტემების მიმართულებით.

პროგრამის ფარგლებში დასაქმების სააგენტო პასუხისმგებელია 6 მიზნის განხორციელებაზე:

- ESCO-ს შესაბამისი დეფიციტური უნარების (მათ შორის „მწვანე სამუშაოებისთვის“ საჭირო უნარების), პროფესიების იდენტიფიცირებისა და მოთხოვნადი უნარების პროგნოზირების მეთოდოლოგიის შემუშავება და დასაქმების სააგენტოს დირექტორის ბრძანებით დამტკიცება;
- დასაქმების სააგენტოს რეგიონული ოფისების გახსნა თანამშრომელთა საჭირო რაოდენობითა და შესაბამისი ინფრასტრუქტურული, ტექნიკური აღჭურვილობით;
- დასაქმების მხარდამჭერი სერვისების მიწოდება სოფლად მცხოვრები სამუშაოს მაძიებლებისთვის;
- შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკის ღონისძიებებში ჩართული მოწყვლად უმუშევართა რაოდენობის გაზრდა;
- ახალი შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემის შექმნა და განვითარება;
- განახლებული შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემაში გამოქვეყნებული ვაკანსიების რაოდენობის გაზრდა.

ინდიკატორების შესრულების ვადა განსაზღვრულია 2028 წლის ბოლომდე.

„საქართველოს მთავრობისთვის ადამიანური კაპიტალის განვითარების“ პროგრამის ინდიკატორების შესრულების უზრუნველსაყოფად „ტექნიკური დახმარების, საქართველოს მთავრობისთვის ადამიანური კაპიტალის განვითარების პროგრამის“ ფარგლებში დასაქმების სააგენტოს მხარდამჭერია საფრანგეთის განვითარების სააგენტო (AFD) და ორგანიზაცია Expertise France, რომელიც უზრუნველყოფს დასაქმების სააგენტოს ინსტიტუციურ განვითარების, გაძლიერებას და მდგრადობის ხელშეწყობას. პროექტის ხანგრძლივობა შეადგენს 36 თვეს (2024–2027).

2025 წელს გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების ერთობლივი ფონდის (UN Joint SDG Fund) ინიციატივით დაიწყო პროექტი, რომლის მიზანია მოწყვლადი ჯგუფებისთვის ღირსეული და პროდუქტიული დასაქმების და სოციალური დაცვის ხელმისაწვდომობის ხელშეწყობა. პროექტის ხანგრძლივობა არის 24 თვე (2025–2027). პროექტის მონაწილეები არიან შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია ILO, გაეროს ბავშვთა ფონდი UNICEF და მსოფლიო ბანკი. აღნიშნული პროექტის ფარგლებში განხორციელდება დაუცველი და მოწყვლადი ჯგუფების მხარდაჭერა ღირსეული და პროდუქტიული დასაქმებისა და სოციალური დაცვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფით, რაც მოიცავს ფორმალური დასაქმების სტიმულირებას, აქტიური შრომის ბაზრის პროგრამების (ALMPs) განვითარების მხარდაჭერას და დასაქმების სააგენტოს თანამშრომელთა შესაძლებლობების გაძლიერებას.

დონორ ორგანიზაციებთან და დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობის ფარგლებში, 2025 წელს დონორ ორგანიზაციებთან გაიმართა სხვადასხვა შეხვედრა. წლის დასაწყისში გერმანულ მხარესთან სახელმწიფოთაშორისი შეთანხმების ფარგლებში განხილული იქნა 2024 წლის შედეგები, ასევე განისაზღვრა 2025 წლის გეგმები.

დასაქმების სააგენტო აგრძელებს თანამშრომლობას „მიგრაციის განვითარების პროგრამის“ ფარგლებში გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებასთან (GIZ) და „ტექნიკური დახმარების, საქართველოს მთავრობისთვის ადამიანური კაპიტალის განვითარების პროგრამის“ ფარგლებში საფრანგეთის განვითარების სააგენტოსთან (AFD).

სამუშაო შეხვედრები გაიმართა შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის ფონდის (SWISSCONTACT), გაეროს ქალთა ორგანიზაცია (UN Women)-ის და ევროპის საგანმანათლებლო ფონდი (ETF)-ის წარმომადგენლებთან. სამუშაო შეხვედრების შედეგად, დაიგეგმა ერთობლივი აქტივობები, რომლებიც ხელს შეუწყობს გენდერული თანასწორობისა და სოციალური ჩართულობის გაძლიერებას. ასევე შეხვედრა გაიმართა საერთაშორისო შრომის ორგანიზაციის (ILO) ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ოფისის წარმომადგენლებთან.

2025 წელს დასაქმების სააგენტომ უმასპინძლა ევროპის საბჭოს წარმომადგენლობას. შეხვედრის ფარგლებში გაეცნენ დასაქმების სააგენტოს საქმიანობას. შეხვედრაზე ყურადღება გამახვილდა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების დასაქმების პროგრამებსა და სერვისებზე. შშმ პირთა დასაქმების ხელშეწყობის გაძლიერების მიზნით, მხარეები შეთანხმდნენ სამომავლო თანამშრომლობაზე.

დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობის ფარგლებში, 2025 წელს დასაქმების სააგენტოს წარმომადგენლები შეხვდნენ ქვემო ქართლის, კახეთის, იმერეთის, მცხეთა-მთიანეთის და გურიის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულებს, თვითმმართველობების წარმომადგენლებსა და მუნიციპალიტეტების მერებს. სამუშაო შეხვედრის ფარგლებში, განხილული იყო ადგილობრივი მოქალაქეების დასაქმებაში ხელშეწყობისა და მათი ეკონომიკური გაძლიერების შესაძლებლობები. შედგა შეთანხმება ერთობლივი სამოქმედო გეგმის ჩამოყალიბებასა და თანამშრომლობასთან დაკავშირებით.

დასაქმების სააგენტოსა და ა(ა)იპ - პროფესიული უნარების სააგენტოს შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში დაიგეგმა არაერთი ერთობლივი ღონისძიება ახალგაზრდების კონკურენტუნარიანობის ამაღლებისა და დასაქმების ხელშეწყობის მიზნით.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ - მსჯავრდებულთა პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ცენტრის წარმომადგენლებთან გამართული შეხვედრის ფარგლებში, დაიგეგმა ერთობლივი ინიციატივები პროფესიული განათლებისა და უნარების განვითარების მიმართულებით. ინიციატივები მიზნად ისახავს მსჯავრდებულთა რესოციალიზაციის ხელშეწყობას და მათთვის შრომის ბაზარზე ინტეგრაციის შესაძლებლობების გაფართოებას.

2025 წლის მაისში, დასაქმების სააგენტომ მონაწილეობა მიიღო საქართველოს სტუდენტური პარლამენტისა და მთავრობის მიერ ორგანიზებულ ყოველწლიურ შემაჯამებელ კონფერენციაში, სადაც ახალგაზრდებს გააცნო დასაქმების სააგენტოს საქმიანობა, მიმდინარე პროგრამები და მხარდაჭერის სერვისები. ღონისძიებას დაესწრო 1 600-მდე სტუდენტი.

დასაქმების სააგენტომ მონაწილეობა მიიღო თბილისში მდგრადი განვითარების თემაზე ჩატარებულ ორდღიან რეგიონულ ფორუმში, სადაც ყურადღება დაეთმო შრომის ბაზრის თანამედროვე ტენდენციებს, შრომითი უფლებების დაცვასა და მომხმარებელთა ინტერესების გათვალისწინებას. შრომის ბაზრის შესახებ გამართულ პანელურ სესიაზე, დასაქმების სააგენტომ წარადგინა საქმიანობის ძირითადი მიმართულებები.

დასაქმების სააგენტომ კახეთისა და ქვემო ქართლის რეგიონებში მონაწილეობა მიიღო შერიგების და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ ორგანიზებულ საინფორმაციო შეხვედრებში. ღონისძიებების ფარგლებში, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს მიეწოდათ ინფორმაცია დასაქმების ხელშემწყობი პროგრამებისა და სერვისების შესახებ.

ქალაქ ზუგდიდში, პროგრამა „ახალგაზრდული პოლიტიკის ლაბის“ ფარგლებში გაიმართა დასაქმების ფორუმი. ღონისძიების მიზანი იყო ახალგაზრდების დასაქმებისა და კარიერული განვითარების ხელშეწყობა. ფორუმში მონაწილეობა მიიღეს დასაქმების სააგენტოს წარმომადგენლებმა, რომლებმაც მონაწილეებს გააცნეს დასაქმების სააგენტოს საქმიანობა, მიმდინარე პროგრამები და აქტიური ვაკანსიები. ღონისძიება წარმოადგენდა ახალგაზრდების დასაქმების ხელშეწყობისა და სახელმწიფო სერვისების პოპულარიზაციის ეფექტურ პლატფორმას რეგიონულ დონეზე.

2. დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამა

საქართველოს მთავრობის 2024 წლის 31 დეკემბრის №487 დადგენილებით დამტკიცდა „დასაქმების ხელშეწყობის 2025 წლის სახელმწიფო პროგრამა“ (შემდგომ - დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამა).

დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამა წარმოადგენს შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკის განხორციელების ერთ-ერთ მთავარ ინსტრუმენტს და მიზნად ისახავს სამუშაოს მაძიებელთა დასაქმების ხელშეწყობას, პროფესიული უნარების განვითარებასა და შრომის ბაზარზე მათი კონკურენტუნარიანობის გაზრდას.

დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამა მოიცავს ოთხ ძირითად ქვეპროგრამას:

- <u>დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა განვითარების ქვეპროგრამა</u>

ქვეპროგრამის მიზანია ქვეყანაში შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკისა და დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებების განვითარება და მათი ეფექტიანი განხორციელება.
ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება სამუშაოს მაძიებელთა ინფორმირება, ინდივიდუალური კონსულტირება, კარიერის დაგეგმვის მხარდაჭერა და დამსაქმებლებთან საშუამავლო მომსახურება.

- <u>სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლების ქვეპროგრამა</u>

ქვეპროგრამა ითვალისწინებს სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული უნარებისა და კვალიფიკაციის გაუმჯობესებას, მათი კონკურენტუნარიანობის ზრდასა და დასაქმების შესაძლებლობების გაფართოებას.
ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება პროფესიული მომზადებისა და გადამზადების მოკლევადიანი პროგრამები, ასევე საკვანძო კომპეტენციების განვითარებაზე სასწავლო კურსები.

- <u>საზოგადოებრივ სამუშაოებზე დასაქმების ხელშეწყობის ქვეპროგრამა</u>

ქვეპროგრამა მიზნად ისახავდა სოციალურად დაუცველი პირებისთვის შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკის განხორციელებას საზოგადოებრივ სამუშაოებში ჩართვის გზით.
ქვეპროგრამა უზრუნველყოფდა სოციალურად დაუცველი სამუშაოს მაძიებლების დროებით დასაქმებას საზოგადოებრივ სამუშაოებზე, რაც ხელს უწყობდა მათი ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას და შრომით საქმიანობაში ჩართვას.

- <u>არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის გავლის ქვეპროგრამა</u>

ქვეპროგრამის მიზანია არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის ეფექტიანი მართვა და დაფინანსების უზრუნველყოფა.
ქვეპროგრამა უზრუნველყოფს კანონმდებლობის შესაბამისად არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის ორგანიზებასა და ადმინისტრირებას.

2.1 დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის დეტალური მონაცემები

ქვევით წარმოდგენილი ინფორმაცია ასახავს დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების შინაარსს, სამიზნე ჯგუფებსა და მიღებული შედეგების დეტალურ ანგარიშს.

2.1.1 სამუშაოს მაძიებელთა რეგისტრაცია, პროფილირება და კონსულტირება

სამუშაოს მაძიებელთა რეგისტრაცია ხორციელდება შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემაში www.worknet.moh.gov.ge.

2025 წელს სისტემაში რეგისტრაცია გაიარა 13 489 სამუშაოს მაძიებელმა, მათ შორის ქალი - 9 420, ახალგაზრდა - 3 706.

რეგიონული განაწილების მიხედვით, ყველაზე მეტი რაოდენობის რეგისტრირებული სამუშაოს მაძიებელი დაფიქსირდა სამეგრელო - ზემო სვანეთისა და იმერეთის რეგიონებში.

ცხრილი 1. რეგისტრირებულ სამუშაოს მაძიებელთა განაწილება წლებისა და ჯგუფების მიხედვით

სისტემაში დარეგისტრირებული სამუშაოს მაძიებლები	2024 წელი	2025 წელი	სხვაობა
სულ	8 484	13 489	+5 005 (+59.0%)
მათ შორის:			

- ქალები	5 794	9 420	+3 626 (+62.6%)
- ახალგაზრდები	3 269	3 706	+437 (+13.4%)

- მონაცემები აჩვენებს სისტემის მნიშვნელოვან როლს ქვეყნის მასშტაბით სამუშაოს მაძიებელთა ბაზის ფორმირებასა და მართვაში;
- მიუთითებს რეგისტრაციის პროცესების გააქტიურებასა და სამუშაოს მაძიებელთა, განსაკუთრებით, ქალების და ახალგაზრდების მზარდ ინტერესზე სერვისების მიმართ.

2.1.1.1 ინდივიდუალური კონსულტირება

ინდივიდუალური კონსულტირების დროს მიმდინარეობს სამუშაოს მაძიებლის პროფილირება და მისი დასაქმების შესაძლებლობების შეფასება.

პროფილირებისა და დასაქმების შესაძლებლობების შეფასების მეთოდოლოგია შემუშავებულია ევროკავშირის პროგრამის "skills4jobs" ფარგლებში არსებული ტექნიკური დახმარების ჯგუფის ექსპერტების მიერ. მეთოდოლოგიის გადახედვა და განახლება ხდება ყოველწლიურად, არსებულ საჭიროებებზე მისადაგების მიზნით.

შეფასების შედეგად სამუშაოს მაძიებლები იყოფა 2 ძირითად ჯგუფად:

1. დასაქმებულია და ეძებს უკეთეს სამსახურს.
2. უმუშევარია და ეძებს სამსახურს.

თავის მხრივ, სამუშაოს მაძიებელთა მეორე ჯგუფი იყოფა 3 ქვეჯგუფად, ესენია: A კატეგორია, რომელსაც გააჩნია შრომის ბაზრისთვის საჭირო უნარები და დასაქმების სააგენტო უწევს საშუამავლო მომსახურებას და აგზავნის დამსაქმებელთან. ხოლო B და C კატეგორიებს მიეკუთვნებიან ის სამუშაოს მაძიებლები, რომლებსაც სჭირდებათ მეტი მხარდაჭერა და კვალიფიკაციის ამაღლება, რათა შეძლონ შრომის ბაზარზე წარმატებული ინტეგრაცია, თუნდაც კონკურენციის არსებობის პირობებში.

პირველ ჯგუფს მიკუთვნებულ სამუშაოს მაძიებლებს დასაქმების სააგენტო სთავაზობს საშუამავლო მომსახურებას, რომლის ფარგლებში მათ ეგზავნებათ ინფორმაცია ვაკანსიებთან დაკავშირებით, ასევე ეგზავნებათ მოსაწვევი მასობრივი გასაუბრებებისა და დასაქმების ფორუმების შესახებ, მოკლე ტექსტური შეტყობინების სახით.

A კატეგორიის სამუშაოს მაძიებლებს დასაქმების სააგენტო სთავაზობს კონსულტირებას დასაქმების მიმართულებით და ასევე საშუამავლო მომსახურებას.

B და C კატეგორიებს მიკუთვნებულ სამუშაო მაძიებლებს კონსულტანტები სთავაზობენ პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის კონსულტაციებს, ასევე პროფესიული განვითარების ინდივიდუალური გეგმის შედგენას და გეგმის მიხედვით კვალიფიკაციის ასამაღლებლად სხვადასხვა ღონისძიებებში ჩართვას.

2025 წელს დასაქმების სააგენტოს სერვის ცენტრებში ინდივიდუალური კონსულტირება გაეწია 13 629 სამუშაოს მაძიებელს, მათ შორის 9 577 ქალი, 3 225 ახალგაზრდა, 742 შშმ პირი, 916 დევნილი, 8 162 სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული, აქედან 6 345 საარსებო შემწეობის მიმღები.

ცხრილი 2. ინდივიდუალური კონსულტაციების რაოდენობა წლებისა და ჯგუფების მიხედვით

აქტივობა	2024 წელი	2025 წელი	სხვაობა/ცვლილება
ინდივიდუალური კონსულტირება (ჯამი)	10 666	13 629	+2 963 (+27.8%)
მათ შორის:			
- ქალები	7 653	9 577	+1 924 (+25.1%)
- ახალგაზრდები	2 926	3 225	+299 (+10.2%)
- შშმ პირები	525	742	+217 (+41.3%)
- სოციალურად დაუცველი პირები	6 011	8 162	+2 151 (+35.8%)

➲ მონაცემები აჩვენებს, რომ 2025 წელს ინდივიდუალური კონსულტირების მომსახურება მნიშვნელოვნად გაფართოვდა და განსაკუთრებით გაიზარდა მოწყვლადი ჯგუფების წარმომადგენელთა ჩართულობა. ეს მიუთითებს დასაქმების ხელშეწყობის სერვისების ეფექტიან გამოყენებასა და დასაქმების სააგენტოს მიზნობრივ მუშაობაზე შრომის ბაზარზე სხვადასხვა სოციალური ჯგუფის ინტეგრაციის მიმართულებით.

2.1.1.2 ჯგუფური კონსულტირება

გარდა ინდივიდუალური კონსულტაციებისა, დასაქმების სააგენტო სამუშაოს მაძიებლებს სთავაზობს ჯგუფურ კონსულტაციებს, რაც მოიცავს ადგილობრივ შრომის ბაზარზე არსებული ძირითადი ინფორმაციის მიწოდებას, ასევე პრაქტიკულ რჩევებს ვაკანტური ადგილების შესახებ ინფორმაციის ეფექტურად მოძიების, მასზე გამოხმაურებისა და დამსაქმებლებთან ინტერვიუების კუთხით.

2025 წელს ჩატარდა 34 ჯგუფური კონსულტირება, რომელსაც ჯამში 298 სამუშაოს მაძიებელი დაესწრო. მათ შორის 226 ქალი, 135 ახალგაზრდა.

გარდა ამისა, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ - მსჯავრდებულთა პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ცენტრსა და დასაქმების სააგენტოს შორის გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში გაგრძელდა „უვადო მსჯავრდებულთათვის გათავისუფლების მოსამზადებელი პროგრამა“, რომელიც ითვალისწინებს სხვადასხვა უწყების მიერ გაწეული სერვისების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას.

პენიტენციურ დაწესებულებაში 2025 წელს გაიმართა ორი საინფორმაციო შეხვედრა. შეხვედრების მიზანი იყო მსჯავრდებულებისთვის დასაქმების სააგენტოს სერვისებისა და დასაქმების შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციის მიწოდება.

ცხრილი 3. მონაცემები ჯგუფური კონსულტაციების შესახებ წლების მიხედვით

მაჩვენებელი	2024 წელი	2025 წელი	სხვაობა
ჩატარებული ჯგუფური კონსულტირებების რაოდენობა	27	34	+7

2.1.1.3 მობილური ჯგუფები

დასაქმების სააგენტოში 2023 წლიდან მოქმედებს მობილური ჯგუფები და მათი საქმიანობის უზრუნველსაყოფად დამტკიცდა „მობილური ჯგუფის საქმიანობის წესი“.

მობილური ჯგუფების უმთავრესი ამოცანაა პროაქტიული მუშაობა რეგიონში მცხოვრებ მოსახლეობასთან, მათთვის დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამების გაცნობა და პროგრამებში ჩართვის

უზრუნველყოფა. მობილური ჯგუფების მეშვეობით გაიზრდება სოფლად მცხოვრები სამუშაოს მაძიებლების წვდომა დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამებსა და სერვისებზე.

დასაქმების სააგენტოს მობილური ჯგუფები რეგულარულად სტუმრობენ სხვადასხვა რეგიონსა და სოფლებში მცხოვრებ მოსახლეობას.

სულ ჩატარებულია 699 საინფორმაციო შეხვედრა, მათ შორის 247 შეხვედრა ჩატარდა 2025 წელს. შეხვედრებს ჯამში დაესწრო 11 061 პირი, მათ შორის 3 842 სამუშაოს მაძიებელი 2025 წელს. მობილური ჯგუფის შეხვედრებზე დამსწრეთაგან, 6 769 პირი რეგისტრირებულია შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემაში სამუშაოს მაძიებლად, მათ შორის 989 პირი დარეგისტრირდა 2025 წელს.

ცხრილი 4. მონაცემები მობილური ჯგუფების მიერ ჩატარებული შეხვედრებისა და დამსწრე სამუშაოს მაძიებელთა შესახებ წლების მიხედვით

მაჩვენებელი	2024 წელი	2025 წელი	ცვლილება / შენიშვნა
ჩატარებული შეხვედრების რაოდენობა	183	247	+64
შეხვედრებზე დამსწრე სამუშაოს მაძიებლების რაოდენობა	2 899	3 842	+943

- მონაცემების თანახმად, 2025 წელს საინფორმაციო შეხვედრების მასშტაბი მნიშვნელოვნად გაფართოვდა და გაიზარდა როგორც შეხვედრების რაოდენობა, ასევე მათში მონაწილე პირებისა და სამუშაოს მაძიებლების ჩართულობა. აღნიშნული ტენდენცია ადასტურებს დასაქმების სააგენტოს მიერ განხორციელებული საინფორმაციო და საკომუნიკაციო საქმიანობის ეფექტიანობას და მის მნიშვნელოვან როლს დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის პოპულარიზაციასა და სამუშაოს მაძიებელთა ჩართულობის ზრდაში, ასევე მობილური სერვისების მნიშვნელოვან როლზე რეგიონებში მცხოვრები სამუშაოს მაძიებლების ჩართულობის გაზრდაში.

2.2 სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლება

სამუშაოს მაძიებელთა კვალიფიკაციის ასამაღლებელ ღონისძიებებში/კომპონენტებში ჩართვა ხორციელდება კარიერული კონსულტირებისა და პროფესიული ორიენტაციის შედეგების საფუძველზე. ამ პროცესში ფასდება სამუშაოს მაძიებლის დასაქმების შესაძლებლობები, დგება პროფესიული და კარიერული განვითარების ინდივიდუალური გეგმა.

გეგმის მიხედვით, კარიერის დაგეგმვის სპეციალისტის მიერ, სამუშაო მაძიებელთან შეთანხმებით, შეირჩევა ის აქტივობები, რომლებში ჩართვაც უზრუნველყოფს პროფესიული განვითარებისთვის კონკურენტუნარიანობის ამაღლებისა და დასაქმების შესაძლებლობის ზრდას. სწორედ ამიტომ, კვალიფიკაციის ასამაღლებელ ღონისძიებებში/კომპონენტებში სამუშაოს მაძიებელთა ჩართვას ყოველთვის უსწრებს კარიერის დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის კონსულტაცია.

2025 წელს დასაქმების სააგენტოს სერვისცენტრებში ინდივიდუალური კარიერის დაგეგმვა და პროფესიული კონსულტირება გაეწია 4 574 სამუშაოს მაძიებელს. მათ შორის 3 824 ქალი, 1 099 ახალგაზრდა, 121 შშმ პირი, 502 დევნილი, 1 662 სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული პირი, აქედან 1 007 საარსებო შემწეობის მიმღები.

ცხრილი 5. მონაცემები ინდივიდუალური კარიერის დაგეგმვისა და პროფესიული კონსულტირების შესახებ ჯგუფების მიხედვით

მაჩვენებელი	2025 წელი
ინდივიდუალური კარიერის დაგეგმვა და პროფესიული კონსულტირების ჯამური ოდენობა	4 574
მათ შორის:	
- ქალები	3 824
- ახალგაზრდები	1 099
- შშმ პირები	121
- დევნილები	502
- სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული პირები, აქედან:	1 662
- საარსებო შემწეობის მიმღები	1 007

- 2025 წელს ინდივიდუალური კარიერის დაგეგმვისა და პროფესიული კონსულტირების კომპონენტი მოიცავს სამუშაოს მაძიებლების ფართო სეგმენტს, განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ქალების (84%) და ახალგაზრდების (24%) ჩართულობა. ეს ხაზს უსვამს პროგრამის გენდერულ, ასაკობრივ და სოციალურ მახასიათებლებზე ორიენტირებულ ეფექტურობას, რომელიც ხელს უწყობს მოწყვლადი ჯგუფების პროფესიულ განვითარებას და დასაქმების შესაძლებლობების გაუმჯობესებას.
- გარდა ამისა, 2025 წელს დამატებით დამუშავდა საარსებო შემწეობის მიმღებთა მონაცემები, რაც იმას ნიშნავს, რომ მონაცემების დამუშავება უფრო დეტალური გახდა.

2.2.1 სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება და პროფესიული გადამზადება

სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება და პროფესიული გადამზადება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და ძირითადი ინსტრუმენტია, რომლის საშუალებითაც სამუშაოს მაძიებელი შეძლებს მოკლე დროში აიმაღლოს კვალიფიკაცია და წარმატებით დასაქმდეს პროფესიით.
პროგრამის მიზანია შრომის ბაზრის მოთხოვნად პროფესიებში შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სამუშაოს მაძიებლების მომზადება.

2025 წელს 58 მოთხოვნად პროფესიაზე სასწავლო პროცესში ჩაერთო 3 504 სამუშაოს მაძიებელი, (ქ. თბილისი - 1 770, აჭარა - 86; იმერეთი - 581, კახეთი - 66, სამეგრელო-ზემო სვანეთი - 845, ქვემო ქართლი - 104, შიდა ქართლი -52), მათ შორის 2 978 ქალი, 741 ახალგაზრდა, 64 შშმ პირი, 380 დევნილი, 1 207 სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული პირი, აქედან 724 საარსებო შემწეობის მიმღები.

- 2025 წელს პროგრამაში მონაწილეთა რაოდენობა რეგიონების მიხედვით განსხვავებულია — რამდენიმე რეგიონში დაფიქსირდა მნიშვნელოვანი ზრდა (აჭარა-26%, იმერეთი-27% და შიდა ქართლი-50%-ზე მეტი). დედაქალაქში პროგრამის მონაწილეთა რაოდენობა ფაქტობრივად სტაბილურია და თბილისი კვლავ რჩება მონაწილეთა ყველაზე დიდი კონცენტრაციის ადგილად.

2025 წელს პროფესიული მომზადების პროგრამები უფრო მიზნობრივი გახდა. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ზრუნვის, საგანმანათლებლო და სოციალური მომსახურების მიმართულებებს, როგორიცაა ადრეული განათლება, მეტყველების თერაპია, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებები, პროგრამები ძიძებისთვის, გერიატრიული ასისტენტებისთვის (ხანდაზმულთა მოვლა) და შინმოვლის

სპეციალისტებისთვის. პროგრამების სტრუქტურა უფრო მეტად არის ორიენტირებული შრომის ბაზრის მუდმივ მოთხოვნებზე და დასაქმებისთვის საჭირო პრაქტიკულ უნარებზე.

ცხრილი 6. პროფესიების სექტორული განაწილების 2024-2025 წლების ძირითადი მიმართულებები და ტენდენციები

სექტორი	ძირითადი მიმართულებები	ტენდენცია (2024 - 2025)
განათლება და ზრუნვა	სკოლამდელი აღზრდა, სპეციალური საჭიროებები, მეტყველების თერაპია, ძიძა.	2025 წ. აქცენტი გაკეთდა ინკლუზიურ განათლებასა და ციფრული ტექნოლოგიების ინტეგრაციაზე.
სილამაზე და ესთეტიკა	სტილისტი, მანიკურ-პედიკური, კოსმეტოლოგია, ლაზერული ეპილაცია, მაკიაჟი.	2025 წ. დაემატა უფრო ვიწრო სპეციალიზაციები (მაგ: ლაზერული ეპილაცია, ბიუთი-ლუქი).
IT და ტექნოლოგიები	სისტემური ადმინისტრირება, ვებ-გვერდების მართვა, CAD სისტემები, ციფრული ლოგისტიკა.	ნარჩუნდება მოთხოვნა ლოგისტიკის გაციფრულების და საინჟინრო დაპროექტების მიმართულებით.
ბიზნესი და ფინანსები	ელექტრონული ბუღალტერია (Oris), საბაჟო დეკლარირება, სახელმწიფო შესყიდვები.	ორივე წელს წამყვანია ელექტრონული პროგრამების მიმართულება.
კულინარია და სერვისი	ქართული და უცხოური სამზარეულო, საკონდიტრო, სასტუმრო და რესტორნის სერვისი.	2025 წ. მეტი აქცენტია საერთაშორისო სტანდარტებზე (EU GMP/GDP) და სპეციფიკურ სამზარეულოებზე.
ინჟინერია და ხელოსნობა	შედუღება (არგონული, ელექტრო), ელექტრომონტაჟი, მკერავი, ტიხრული მინანქარი.	ნარჩუნდება მოთხოვნა კვალიფიციურ შემადუღებლებზე და ელექტრიკოსებზე.

2025 წელს 3 504 სამუშაოს მაძიებლიდან სწავლა დაასრულა 1 750 -მა, ხოლო 1 754 პირმა სწავლა დაასრულა 2026 წლის პირველ კვარტალში.

2025 წელს სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება და პროფესიული გადამზადების კომპონენტის მონაწილეებიდან დასაქმებულია 2 362 პირი. იმ პირთა დასაქმების მაჩვენებელი, რომლებიც სწავლას 2026 წელს დაასრულებს, აისახება 2026 წლის სტატისტიკაში.

- 2025 წელს მნიშვნელოვნად გაიზარდა იმ სამუშაოს მაძიებელთა რაოდენობა, რომლებმაც სწავლა იმავე წელს დაასრულეს. პარალელურად შემცირდა მომდევნო წლის პირველ კვარტალში დასრულებული სწავლების მაჩვენებელი, რაც მიუთითებს, რომ სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება და პროფესიული გადამზადების კომპონენტის ფარგლებში სწავლების პროცესი უფრო სწრაფი და ეფექტიანი გახდა.

2.2.2. სტაჟირება

სამუშაო მაძიებელთა პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლების კიდევ ერთი ინსტრუმენტია სტაჟირება - დამსაქმებლების მიერ წარმოდგენილ ვაკანტურ ან/და პერსპექტიულ სამუშაო ადგილზე/ადგილებზე პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარება/სწავლება შემდგომი დასაქმების მიზნით.

2025 წელს თავისუფალ სამუშაო ადგილზე სამუშაოს მაძიებელთა სტაჟირების კომპონენტში ჩაერთო 42 დამსაქმებელი (თბილისი - 7 და რეგიონები - 35) და 224 სტაჟიორი (ქ. თბილისი - 48, აჭარა - 5, გურია - 6, იმერეთი - 66, კახეთი - 18, სამეგრელო- ზემო სვანეთი -37, ქვემო ქართლი - 21, შიდა ქართლი - 14, სამცხე ჯავახეთი - 6, რაჭა-ლეჩხუმი-3), მათ შორის: 178 ქალი, 96 ახალგაზრდა, 13 შშმ პირი, 26 დევნილი, 70 სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული პირი, აქედან 34 საარსებო შემწეობის მიმღები.

სტაჟირების კომპონენტში ჩართულმა დამსაქმებლებმა 92 პოზიციაზე წარმოადგინეს 224 ვაკანტური ადგილი. სტაჟირების კომპონენტში ჩართული სამუშაოს მაძიებლებიდან დასაქმებულია 129 პირი.

- 2025 წელს სტაჟირების კომპონენტში ჩართული დამსაქმებლების რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა (110%). ზრდა განსაკუთრებით შეინიშნება რეგიონებში, რაც მიუთითებს პროგრამის გეოგრაფიულ გაფართოებასა და დამსაქმებლების ინტერესის ზრდაზე.
- 2025 წელს სტაჟიორების რაოდენობა თითქმის **სამჯერ** გაიზარდა, ხოლო სტაჟირების კომპონენტი გავრცელდა ახალ რეგიონებშიც, რაც ხელს უწყობს სამუშაოს მაძიებლების ხელმისაწვდომობას პროფესიული გამოცდილების მიღებაზე და შრომის ბაზარზე მათი ინტეგრაციის გაძლიერებას.

ცხრილი 7. სტაჟირების კომპონენტში ჩართული სამუშაოს მაძიებლები ჯგუფების მიხედვით

მაჩვენებელი	რაოდენობა (2025 წ.)
სტაჟირების კომპონენტში ჩართული სტაჟიორები (სულ)	224
მათ შორის:	
- ქალები	178
- ახალგაზრდები	96
- შშმ პირები	13
- დევნილები	26
- სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული პირები, აქედან:	70
- საარსებო შემწეობის მიმღები	34

- სტაჟირების კომპონენტი 2025 წელს აქტიურად მოიცავდა სხვადასხვა სოციალური ჯგუფის წარმომადგენლებს, განსაკუთრებით ქალებს (საერთო რაოდენობაში მათი წილი დაახლოებით 79%-ია), ახალგაზრდებსა (საერთო რაოდენობაში მათი წილი დაახლოებით 34%-ია) და სოციალურად დაუცველ პირებს (საერთო რაოდენობაში მათი წილი 31%-ია). მონაცემები მიუთითებს, რომ სტაჟირების კომპონენტი ხელს უწყობს მოწყვლადი სოციალური ჯგუფების ეკონომიკურ გააქტიურებასა და დასაქმების შესაძლებლობების გაზრდას.

2.3 საშუამავლო მომსახურება და დამსაქმებელთან ურთიერთობა

საშუამავლო მომსახურების მიზანია, დამსაქმებლებისა და სამუშაოს მაძიებლების ერთმანეთთან დაკავშირება და/ან ასეთი დაკავშირების ხელშეწყობა.

2025 წელს 800 ზე მეტმა დამსაქმებელმა მიმართა დასაქმების სააგენტოს და მათ მიერ მთელი ქვეყნის მასშტაბით მოწოდებულ იყო 14 611 თავისუფალი სამუშაო ადგილი.

ცხრილი 8. 2024-2025 წლებში გამოცხადებული ვაკანტური ადგილების რაოდენობა ISCO ჯგუფების მიხედვით

№	ISCO ჯგუფი	2024 წელი ვაკანტური ადგილების რაოდენობა	2025 წელი ვაკანტური ადგილების რაოდენობა
1	მენეჯერები	734	1461
2	სპეციალისტი-პროფესიონალები	915	1183
3	ტექნიკოსები და დამხმარე სპეციალისტები	584	727
4	ოფისის დამხმარე პერსონალი	3590	840
5	მომსახურებისა და გაყიდვების სფეროში დასაქმებული პირები	5695	5007
6	სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობის კვალიფიციური მუშაკები	58	53
7	ხელოსნები და მონათესავე სფეროს მუშაკები	948	1322
8	დანადგარებისა და მოწყობილობების ოპერატორები და ამწყობები	576	498
9	არაკვალიფიციური მუშაკები	3266	3520
	ჯამი	16366	14611

- 2025 წელს ვაკანსიების საერთო რაოდენობა კვლავ მაღალია, რაც მიუთითებს, რომ შრომის ბაზარზე მოთხოვნა სამუშაო ძალაზე კვლავ შენარჩუნებულია და საშუამავლო მომსახურების მიწოდების კომპონენტი კვლავ წარმოადგენს დამსაქმებლებსა და სამუშაოს მაძიებლებს შორის დაკავშირების მნიშვნელოვან მექანიზმს. ამასთან, 2025 წელს შრომის ბაზარზე გამოცხადებული ვაკანსიები მიუთითებს მოთხოვნის გადანაცვლებაზე უფრო მაღალი კვალიფიკაციისა და ტექნიკური პროფესიების მიმართულებით, მაშინ როდესაც ოფისის დამხმარე ადმინისტრაციულ პოზიციებზე მოთხოვნა მნიშვნელოვნად შემცირებულია.

დამსაქმებლების მიერ წარმოდგენილ 14 611 თავისუფალ სამუშაო ადგილზე, საშუამავლო მომსახურების გაწევის/სამუშაოს მაძიებელთა შერჩევის მიზნით, ვაკანსიების შესახებ ინფორმაცია მიეწოდა სისტემაში რეგისტრირებულ სამუშაოს მაძიებლებს.

ვაკანსიების ფარგლებში შეირჩა და დამსაქმებლებთან გაიგზავნა 4 684 სამუშაოს მაძიებელი, მათ შორის: 2 454 ქალი, 1 423 ახალგაზრდა, 181 შშმ პირი, 282 დევნილი, 1722 სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული პირი, აქედან 954 საარსებო შემწეობის მიმღები.

ცხრილი 9. მონაცემები წარმოდგენილი ვაკანსიების ფარგლებში დასაქმებისთვის შერჩეული სამუშაოს მაძიებლების შესახებ წლებისა და ჯგუფების მიხედვით

მაჩვენებელი	2024 წელი	2025 წელი	ცვლილება / შენიშვნა
ვაკანსიების ფარგლებში შერჩეული და დამსაქმებლებთან გაგზავნილი სამუშაოს მაძიებლები (სულ)	4 085	4 684	▲ +599
მათ შორის:			
- ქალები	2 314	2 454	▲ +140
- ახალგაზრდები	237	1 423	▲ +1 186
- შშმ პირები	169	181	▲ +12

- 2025 წელს გაიზარდა ვაკანსიების ფარგლებში დამსაქმებლებთან გაგზავნილი სამუშაოს მაძიებლების საერთო რაოდენობა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ზრდა დაფიქსირდა

ახალგაზრდების კატეგორიაში (რაოდენობა გაიზარდა თითქმის ექვსჯერ), რაც მიუთითებს ახალგაზრდების დასაქმების ხელშეწყობის გაძლიერებაზე.

2.3.1 დასაქმების ფორუმები

საშუამავლო მომსახურების ერთ-ერთ ფორმაა დასაქმების ფორუმი. დასაქმების ფორუმი არის სივრცე, სადაც, ერთი მხრივ, სამუშაოს მაძიებლებს ეძლევათ შესაძლებლობა ერთ სივრცეში, უშუალოდ დამსაქმებლისგან მიიღონ მათთვის საინტერესო ინფორმაცია რამდენიმე ვაკანსიის შესახებ, ხოლო, მეორე მხრივ, დამსაქმებელს აქვს შესაძლებლობა ერთ სივრცეში გაესაუბროს რამდენიმე კანდიდატს.

2025 წელს ჩატარდა 6 დასაქმების ფორუმი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 203 დამსაქმებელმა და 900-ზე მეტმა სამუშაოს მაძიებელმა.

საშუამავლო მომსახურების და დასაქმების ფორუმების შედეგად დასაქმებულია 1 877 სამუშაოს მაძიებელი.

ცხრილი 10. საშუამავლო მომსახურების და დასაქმების ფორუმების შედეგად დასაქმებული სამუშაოს მაძიებლების შესახებ წლების მიხედვით

მაჩვენებელი	2024 წელი	2025 წელი	სხვაობა/ცვლილება
დასაქმებული სამუშაოს მაძიებლების რაოდენობა	1 631	1 877	▲ +246

- 2025 წელს დასაქმებული სამუშაოს მაძიებლების რაოდენობა გაიზარდა 2024 წელთან შედარებით (15%), რაც მიუთითებს საშუამავლო მომსახურების ეფექტიანობაზე და აჩვენებს საშუამავლო მომსახურების მიწოდების კომპონენტის დადებით გავლენას შრომის ბაზარზე.
- ფორუმების რაოდენობა სტაბილურია და 3-ჯერ აღემატება დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამით დადგენილ მიზნობრივ მაჩვენებელს (მინიმუმ 2 ფორუმი). ეს ღონისძიება კვლავ მნიშვნელოვან პლატფორმად რჩება დამსაქმებლებისა და სამუშაოს მაძიებლების პირდაპირი კომუნიკაციისთვის.

2.3.2 დამსაქმებლებთან ურთიერთობა

დამსაქმებლებთან ეფექტური თანამშრომლობისა და კომუნიკაციის მექანიზმების აწყობის მიზნით, დასაქმების სააგენტო ინტენსიურ სამუშაო შეხვედრებს მართავს ბიზნეს ასოციაციებთან, რა დროსაც ბიზნესის წარმომადგენლებს აქვთ საშუალება მიიღონ ინფორმაცია დასაქმების სააგენტოს სერვისების შესახებ, ხოლო დასაქმების სააგენტომ მიიღოს ინფორმაცია ბიზნესის სამუშაო ძალის მიმართულებით არსებული საჭიროებების შესახებ. შესაბამისად, ბიზნეს სექტორთან მუშაობა გრძელდება ინტენსიურ რეჟიმში.

დასაქმების სააგენტო აქტიურად თანამშრომლობს მცირე, საშუალო და მსხვილი ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებთან. 2025 წლის იანვარში დასაქმების სააგენტომ გაცნობითი შეხვედრა გამართა კომპანია „ბლექ სი პეტროლიუმის“ წარმომადგენლებთან, თებერვალში კი კომპანიასა და დასაქმების სააგენტოს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა.

ივნისში დასაქმების სააგენტოსა და ა(ა)იპ - პროფესიული უნარების სააგენტოს ხელმძღვანელობა ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებს შეხვდა. შეხვედრა საჯარო-კერძო დიალოგის პლატფორმის ფარგლებში გაიმართა და მიზნად ისახავდა პროფესიული განათლების დაგეგმვასა და განხორციელებაში კერძო

სექტორის ჩართულობის გაზრდას. მონაწილეებმა მიიღეს ინფორმაცია ინტეგრირებული სწავლების თავისებურებებსა და დასაქმების სააგენტოს სერვისების შესახებ.

წლის ბოლოს დასაქმების სააგენტოს ორგანიზებით, დამსაქმებლებისა და პარტნიორი ორგანიზაციების შემაჯამებელი შეხვედრა გაიმართა. ღონისძიების ფარგლებში წარმოდგენილი იყო დასაქმების სააგენტოს 2025 წლის საქმიანობის მოკლე ანგარიში და სამომავლო გეგმები. შეხვედრის ფარგლებში დასაქმების სააგენტომ 2025 წლის 5 საუკეთესო დამსაქმებელი და 5 საუკეთესო პარტნიორი ორგანიზაცია დააჯილდოვა.

2.3.3 მოწყვლადი და დაბალკონკურენტიანი სამუშაოს მაძიებელთა დასაქმების ხელშეწყობა

აქტივობა მიზნად ისახავს მოწყვლადი, დაბალკონკურენტუნარიანი პირების დასაქმების ხელშეწყობის სერვისების დანერგვას და განვითარებას.

2025 წელს მხარდაჭერითი დასაქმების კონსულტანტებმა მხარდაჭერითი მომსახურება გაუწიეს 158 შშმ პირს, მათ შორის: 95 ქალს, 35 ახალგაზრდას, 128 შშმ პირსა და 30 დაბალკონკურენტუნარიან სამუშაოს მაძიებელს. აღნიშნული პირები გადამისამართდნენ და ჩაერთნენ დასაქმების სააგენტოს სხვადასხვა სერვისსა და კომპონენტში: შრომის ანაზღაურების სუბსიდირებაში, სტაჟირებაში, სამუშაოს მაძიებელთა მომზადება-გადამზადებაში და ა.შ.

ცხრილი 11. მხარდაჭერითი მომსახურების მიმღები პირების მაჩვენებლები ჯგუფების მიხედვით

მაჩვენებელი	2025 წელი
მხარდაჭერითი მომსახურების მიმღები პირები (სულ)	158
მათ შორის:	
- ქალები	95
- ახალგაზრდები	35
- შშმ პირები	128
- დაბალკონკურენტუნარიანი სამუშაოს მაძიებლები	30

➲ 2025 წელს მხარდაჭერითი მომსახურების კომპონენტში ყველაზე მაღალი ჩართულობა, ისევე როგორც 2024 წელს, დაფიქსირდა **შშმ პირებში (81%)**, რაც მიუთითებს პროგრამის მნიშვნელოვან სოციალურ მიზანზე. ქალები კვლავ წარმოადგენენ უმრავლესობას (60%), ხოლო ახალგაზრდების ჩართულობა (22%) ზომიერია. დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამა ასევე ეფექტურად ფარავს მოწყვლადი ჯგუფების, მათ შორის **დაბალკონკურენტუნარიანი სამუშაოს მაძიებლების**, მხარდაჭერას, რაც ხელს უწყობს მათ **პროფესიულ განვითარებას.**

შრომის ბაზრის აქტიური ღონისძიებების შედეგად **2025 წელს დასაქმდა ჯამში 169 შშმ პირი,** მათ შორის:

- მხარდაჭერითი მომსახურების ფარგლებში - 18;
- მომზადება-გადამზადების პროგრამის ფარგლებში - 29;
- საშუამავლო მომსახურების და დასაქმების ფორუმების შედეგად - 54;
- სტაჟირების კომპონენტის ფარგლებში - 2;
- სუბსიდირების კომპონენტის ფარგლებში -1;
- კონსულტირების სერვისის ფარგლებში - 65.

➲ კონსულტირების სერვისის ფარგლებში დასაქმება 2025 წელს მნიშვნელოვნად გაიზარდა 2024 წლის მონაცემებთან შედარებით (40 → 65), ასევე გაორმაგდა სტაჟირების შედეგად დასაქმებული პირების

მაჩვენებელი. გარდა ამისა 2025 წელს დაემატა სუბსიდირების კომპონენტის ფარგლებში დასაქმებული შშმ პირებიც, რაც მიუთითებს ამ მომსახურებების ეფექტიანობის ზრდაზე.

3. სოციალურად დაუცველ სამუშაოს მაძიებელთა საზოგადოებრივ სამუშაოზე დასაქმება

„საზოგადოებრივ სამუშაოებზე დასაქმების ხელშეწყობის ქვეპროგრამა“ ხორციელდება 2022 წლის პირველი მარტიდან და მისი მიზანია სოციალურად დაუცველი შრომისუნარიანი პირების მიმართ შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკის განხორციელება, საზოგადოებრივ სამუშაოების ქვეპროგრამაში ჩართვის ხელშეწყობის გზით. ქვეპროგრამის მოსარგებლეები არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული 120 000 და ნაკლები სარეიტინგო ქულის მქონე საარსებო შემწეობის მიმღები ოჯახის წევრები, რომლებიც არ არიან დასაქმებული ან/და რეგისტრირებული თვითდასაქმებული სსიპ – შემოსავლების სამსახურის მიერ წარმოებულ მონაცემთა ბაზის მიხედვით.

აღსანიშნავია, რომ ქვეპროგრამა მოსარგებლეებს სთავაზობდა სამ ალტერნატივას (საზოგადოებრივ სამუშაოებზე დასაქმების სახელმწიფო პროგრამა, დასაქმების ფორმალიზება, ღია შრომის ბაზარზე დასაქმება) იმისთვის, რომ 4 წლის განმავლობაში ესარგებლათ საარსებო შემწეობის უწყვეტად გაცემის სპეციალური პირობებით. თუ მოსარგებლე არ ისარგებლებდა არცერთი შეთავაზებით, მისი სოციალურ - ეკონომიკური მდგომარეობა ექვემდებარებოდა ყოველწლიურ გადამოწმებას სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს მხრიდან.

ცხრილი 12. საარსებო შემწეობის მიმღები ოჯახებისა და პირების განაწილება რეგიონების მიხედვით

საარსებო შემწეობის მიმღები ოჯახებისა და პირების რაოდენობა		
	საზოგადოებრივი დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ოჯახების/მიმღებ პირთა რაოდენობა, რომლებსაც 4 წლის განმავლობაში გარანტირებულად შეუნარჩუნდებათ სოციალურად დაუცველის სტატუსი *	
რეგიონი/რაიონი	ოჯახი	პირი
ქ. თბილისი	9 466	39 924
გურია	2 652	12 334
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	2 052	6 925
კახეთი	5 317	24 273
იმერეთი	7 999	36 055
მცხეთა-მთიანეთი	2 148	9 232
სამეგრელო-ზემო სვანეთი	8 660	37 153
სამცხე-ჯავახეთი	1 818	8 753
ქვემო ქართლი	5 314	23 867
შიდა ქართლი	3 177	14 961
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა	6 239	31 418
ზემო აფხაზეთი	-	-
სულ	54 842	244 895

* **შენიშვნა:** ფულადი ბენეფიტის მიმღები ოჯახები/პირები, რომელთა ოჯახიდან მინიმუმ ერთი წევრი მაინც მონაწილეობს „დასაქმების ხელშეწყობის 2025 წლის სახელმწიფო პროგრამაში“ და ოჯახის დეკლარაციაში დაფიქსირებული ყველა წევრს (არასრულწლოვანი წევრის ჩათვლით) 4 წლის განმავლობაში უწყვეტად უნარჩუნდებათ „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ რეგისტრაცია და „საარსებო შემწეობის“ მიღების უფლება.

2025 წელს, პროგრამის ფარგლებში, საზოგადოებრივ სამუშაოზე სულ 28 686 სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებულ პირთან გაფორმდა ხელშეკრულება, მათ შორის 16 194 ქალი, 2 191 ახალგაზრდა.

ცხრილი 13. სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული პირების განაწილება ჯგუფების მიხედვით

მაჩვენებელი	2025 წელი
სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული პირები (სულ)	28 686
მათ შორის:	
- ქალები	16 194
- ახალგაზრდები	2 191

➲ მონაცემების ანალიზი მეტყველებს, რომ სოციალურად დაუცველი პირების საერთო რაოდენობიდან 2025 წელს „საზოგადოებრივ სამუშაოებზე დასაქმების ხელშეწყობის ქვეპროგრამაში“ პროცენტულად ყველაზე მეტი ქალი იყო ჩართული (56,5%) და მათ დომინანტური მდგომარეობა უკავიათ, ხოლო ახალგაზრდები შედარებით ნაკლებად არიან წარმოდგენილნი (7,6%).

4. **შრომითი მიგრაციის სახელმწიფოთაშორისი სქემების განხორციელება**

დასაქმების სააგენტოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფუნქციას წარმოადგენს დროებითი, ლეგალური მიგრაციის სახელმწიფოთაშორისი სქემების განხორციელება.

ცირკულარული შრომითი მიგრაციის სახელმწიფოთაშორის სქემების უმთავრესი მიზანია არალეგალური შრომითი მიგრაციის საპირწონედ, საქართველოს მოქალაქეებს მიეცეთ საშუალება მოკლე ვადით, ლეგალურად და განმეორებით დასაქმდნენ საზღვარგარეთ, მათი ფუნდამენტური უფლებების დაცვის გარანტიით.

ცირკულარული შრომითი მიგრაციის მიმართულებით ხელშეკრულებები და შესაბამისი ოქმები გაფორმებულია 4 პარტნიორ ქვეყანასთან, კერძოდ: გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასთან, ისრაელის სახელმწიფოსთან, საფრანგეთის რესპუბლიკასთან და ბულგარეთის რესპუბლიკასთან. სააგენტო ამ ეტაპზე უშუალოდ მონაწილეობს ორ ქვეყანასთან, ისრაელის სახელმწიფოსთან და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასთან არსებული შეთანხმებების განხორციელებაში.

რაც შეეხება 2025 წლის განმავლობაში ამ მიმართულებით განხორციელებულ აქტივობებს:

- წარმატებით შეირჩა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში დასაქმდა 1448 საქართველოს მოქალაქე.

- მიმდინარეობდა აქტიური კონსულტაციები საბერძნეთის რესპუბლიკასთან, სლოვაკეთის რესპუბლიკასთან და უნგრეთის მხარესთან ორმხრივი შეთანხმებების გაფორმების მიზნით.

5. შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემის "Worknet"-ის განვითარება

შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემის მიზანია სამუშაოს მაძიებლების, დამსაქმებლებისა და მათ მიერ მოწოდებული ვაკანსიების აღრიცხვა. ასევე სისტემა უზრუნველყოფს სამუშაოს მაძიებელთა საკვალიფიკაციო მონაცემების დამუშავებას, ანალიზს და სისტემაში რეგისტრირებულ ვაკანსიებთან ავტომატურ დაკავშირებას.

მსოფლიო ბანკის მიერ მხარდაჭერილი „ადამიანური კაპიტალის განვითარების პროგრამის" ფარგლებში მიმდინარეობს სრულიად ახალი სისტემის შექმნა, რომელიც უახლესი ტექნიკური სტანდარტების დაცვით შეაგროვებს სტატისტიკურ ინფორმაციას და შეასრულებს საჭირო ანალიტიკურ ოპერაციებს. შრომის ბაზრის მართვის ახალი საინფორმაციო სისტემის ასაშენებლად, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებით, შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელშიც ჩართული არიან ევროკავშირის ტექნიკური დახმარების ჯგუფის სპეციალისტები, დასაქმების სააგენტოს, სამინისტროსა და სსიპ - ინფორმაციული ტექნოლოგიების სააგენტოს წარმომადგენლები.

2025 წელს გაგრძელდა სამუშაო ჯგუფის საქმიანობა. სამუშაო ჯგუფი აქტიურად იყო ჩართული სამუშაოს მაძიებლისა და დამსაქმებლის მოდულების ტესტირების პროცესში. აღნიშნული მოდულები წარმოადგენს სისტემის მთავარ კომპონენტებს და მიზნად ისახავს კომუნიკაციის გამარტივებას სამუშაოს მაძიებლებს, დამსაქმებლებსა და დასაქმების სააგენტოს შორის.

ახალი სისტემის ფუნქციური მოდულების უკეთ გაცნობის მიზნით, 2025 წლის აპრილ-მაისში ჩატარებულ ტრენინგებში მონაწილეობა მიიღო დასაქმების სააგენტოს 244-მა თანამშრომელმა. მაისიდან დაიწყო შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემის საპილოტე ფუნქციონირება. სისტემა ამ ეტაპზე გამოიყენება შიდა პროცესების ტესტირებისა და დახვეწისთვის. პარალელურად, გრძელდება მუშაობა სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ დანარჩენ მოდულებზე, რაც მოიცავს როგორც ტექნიკურ განვითარებას, ისე შინაარსობრივ ოპტიმიზაციასა და მომხმარებელზე მორგებას.

2025 წლის დეკემბერში, ახალი Worknet სისტემის შესაბამისობის შემოწმების მიზნით, მსოფლიო ბანკის ექსპერტმა ჩაატარა შესრულებული სამუშაოს შეფასება და მონიტორინგი. მისიის ფარგლებში შეფასდა სისტემის პირველი ფუნქციონალი, აღიწერა სისტემის მდგომარეობა და წარმოდგენილი იყო რეკომენდაციები შემდგომი განვითარებისთვის.

2026 წელს დაგეგმილი აქტივობები

დასაქმების სააგენტო წლიდან წლამდე ვითარდება. 2025 წელს დასაქმების სააგენტომ გააგრძელა მუშაობა, როგორც ინსტიტუციური განვითარების, ისე სერვისების ხარისხისა და ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიმართულებით. დასაქმების სააგენტომ გააძლიერა რეგიონული სერვისცენტრები, განავითარა შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემა. მობილური ჯგუფების მეშვეობით გაზარდა ცნობადობა რეგიონებში და გააძლიერა კომუნიკაცია დამსაქმებლებთან, არასამთავრობო და დონორ ორგანიზაციებთან.

2026 წელს დასაქმების სააგენტოს ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს წარმოადგენს ქვეყანაში უმუშევრობის შემცირება, დასაქმების სააგენტოს საქმიანობა მიმართულია უზრუნველყოს დაბალკონკურენტუნარიანი ჯგუფების დასაქმების შესაძლებლობების გაფართოება და მათი ეკონომიკური გაძლიერების ხელშეწყობა.

დასაქმების სააგენტო იწყებს მაღალმთიან დასახლებებში მუდმივად მცხოვრები პირების დასაქმების ხელშეწყობის ქვეპროგრამას, რომელიც ითვალისწინებს მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრების სტატუსის მქონე პირის ადგილობრივ საწარმოებში დასაქმების ხელშეწყობას, ადგილობრივი საწარმოების მხარდაჭერას და რეგიონული ეკონომიკის გაძლიერებას შრომის ანაზღაურების სუბსიდირების გზით.

ამასთან, გაგრძელდება შშმ პირთა დასაქმების ხელშეწყობის შრომის ანაზღაურების სუბსიდირების ქვეპროგრამა, რომლის ფარგლებშიც შენარჩუნდება ხელფასის 50%-იანი სუბსიდირება და გაიზრდება ერთ ბენეფიციარზე ვაუჩერის მაქსიმალური ოდენობა. ასევე გაფართოვდება სტაჟირების კომპონენტი და თანაბარ პირობებში უპირატესობა მიენიჭებათ ახალგაზრდებს, შშმ პირებს, დევნილებსა და ქალებს, ხოლო პროგრამის მონაწილეებისთვის გაიზრდება სახელმწიფო სტიპენდიის ოდენობა. აღნიშნული ღონისძიებები ხელს შეუწყობს შრომის ბაზარზე დაბალკონკურენტუნარიანი ჯგუფების ეფექტიანი ინტეგრაციასა და ეკონომიკურ გაძლიერებას.

დასაქმების სააგენტო გააგრძელებს არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის ადმინისტრირებას, აგრეთვე შრომითი მიგრაციის ეფექტიან რეგულირებას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, რაც ხელს შეუწყობს დასაქმების შესაძლებლობების გაფართოებას და შრომითი რესურსების უფრო ეფექტიან გამოყენებას.

დაგეგმილი ღონისძიებები მიმართულია ინკლუზიური და შედეგზე ორიენტირებული დასაქმების პოლიტიკის გაძლიერებისკენ, მოწყვლადი ჯგუფების შრომის ბაზარზე ჩართულობის ზრდისკენ და მოსახლეობის ეკონომიკური კეთილდღეობის გაუმჯობესებისკენ.

2025 წლის ივნისში შევიდა ცვლილებები „შრომითი მიგრაციის შესახებ" საქართველოს კანონში, რომელიც ძალაში შევიდა 2026 წლის 1 მარტიდან. ცვლილებების მიზანია შრომითი იმიგრაციის რეგულირების თვალსაზრისით არსებული სამართლებრივი ნორმებისა და აღსრულების მექანიზმების შექმნა/დახვეწა და განვითარება. აღნიშნული ცვლილებები შეესაბამება ევროკავშირის მიერ მოწოდებულ რეკომენდაციას - „საქართველოში უცხო ქვეყნის მოქალაქეების დასაქმების მარეგულირებელი ნორმების ევროკავშირის სტანდარტებთან დაახლოება".

აღნიშნულმა ცვლილებების შედეგად დაიგეგმა 2026 წელს განსახორციელებელი ღონისძიებები როგორც სამართალშემოქმედებითი თვალსაზრისით, ისე შესაბამისი საზედამხედველო მექანიზმების განვითარების თვალსაზრისით. შედეგად განვითარდება:

- ეფექტური სახელმწიფო მონიტორინგის სისტემა, რომლის მიზანია საქართველოს ადგილობრივ შრომის ბაზარზე უცხო ქვეყნის მოქალაქეების დასაქმების, ასევე თვითდასაქმებული უცხოელის მიერ შრომითი/სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების აღრიცხვა და მონიტორინგი;

- შესაბამის სახელმწიფო უწყებებთან მონაცემთა გაცვლის მექანიზმები, რაც ასევე ხელს შეუწყობს შრომითი მიგრაციის პროცესების ეფექტიან მართვას;

ყოველივე ზემოაღნიშნული ხელს შეუწყობს საქართველოში შრომითი მიგრაციის პროცესების სწორ და შრომის ბაზრის ინტერესებზე დაყრდნობით მართვას, რაც საბოლო ჯამში დაეხმარება არალეგალური მიგრაციის მასშტაბების შემცირებას.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ, 2025 წელს განახორციელა „უნარებზე საწარმოთა მოთხოვნის კვლევა", რომლის მიზანს წარმოადგენს მოთხოვნად უნარებზე

საწარმოების საჭიროებების შესწავლა. დამუშავდა კვლევის მონაცემები, მომზადდა შესაბამისი ანგარიში და ფართო აუდიტორიისათვის მოეწყო კვლევის შედეგების პრეზენტაცია. კვლევის ანგარიში განთავსებულია შრომის ბაზრის საინფორმაციო სისტემის ვებგვერდზე (www.lmis.gov.ge) და უზრუნველყოფილია მისი საჯაროდ ხელმისაწვდომობა.

აღნიშნულ წელს სამინისტრომ ასევე მოამზადა შრომის ბაზრის ყოველწლიური ანალიზის ანგარიში, სადაც გაანალიზებულია: დასაქმების სტრუქტურა, დასაქმების სახელმწიფო და კერძო სააგენტოების ვაკანსიები, ქვეყანაში ბოლო პერიოდში შრომის ბაზრის საკითხებზე განხორციელებული კვლევების მიგნებები.

მიმდინარე წელს სამინისტროს განსაზღვრული აქვს „უნარებზე საწარმოთა მოთხოვნის კვლევის" განხორციელება ეკონომიკის ყველა სექტორის მოცვით. ასევე, დაგეგმილია შრომის ბაზრის ყოველწლიური ანალიზის მომზადება.

1. სსიპ - აწარმოე საქართველოში

სსიპ - აწარმოე საქართველოში ერთ-ერთი პირველი სახელმწიფო უწყებაა საქართველოში, რომლის უმთავრეს მიზანს წარმოადგენს სამეწარმეო გარემოს გაუმჯობესება, კერძო სექტორის განვითარება, საქართველოს საინვესტიციო კლიმატის პოპულარიზაცია და ექსპორტის ხელშეწყობა. დინამიური ეკონომიკური განვითარების უზრუნველსაყოფად, სააგენტო აერთიანებს სამ კომპონენტს, ეკონომიკური განვითარების სამ ურთიერთდაკავშირებულ შრეს: ბიზნესს (ადგილობრივ წარმოებას), ექსპორტს და ინვესტიციებს.

1.1 სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში" უნივერსალური ინდუსტრიული ნაწილი

პროექტის მიზანი:
პროგრამის მიზანია საქართველოში მეწარმეობის განვითარება, მეწარმე სუბიექტების მხარდაჭერა, ახალი საწარმოების შექმნისა და არსებული საწარმოების გაფართოების ან გადაიარაღების ხელშეწყობა, კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა მათთვის ბიზნესის ხელშემწყობი მრავალფეროვანი და უნივერსალური მექანიზმის შეთავაზებით.

2025 წელს განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

- დადასტურებულია 499 ახალი სესხი, საერთო ღირებულებით 429,616,293 ლარი;
- ბენეფიციარების რაოდენობა - 431;
- დამტკიცებული პროექტების მიხედვით გათვალისწინებული ახალი სამუშაო ადგილების რაოდენობა - 3,961;
- თანადაფინანსება სულ გადაერიცხა 1,875 სესხს;
- გაწეულმა თანადაფინანსებამ ახალ და არსებულ სესხებზე შეადგინა 30,371,827 ლარი.

2026 წლის სამომავლო გეგმები

- დადასტურებულია 600 ახალი სესხი;
- ბიუჯეტი 41,420,000 ლარი.

1.2 საკრედიტო საგარანტიო სქემის სახელმწიფო პროგრამა

პროექტის მიზანი:
პროგრამის მიზანია ფინანსებზე წვდომის გაუმჯობესება იმ მცირე და საშუალო ბიზნესებისთვის, რომელთაც არ აქვთ შესაძლებლობა, დააკმაყოფილონ სესხის უზრუნველყოფაზე არსებული მოთხოვნები (სრულად ან ნაწილობრივ), ეკონომიკის დაკრედიტების ხელშეწყობა, ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფა და ეკონომიკური გაჯანსაღების ხელშეწყობა.

2025 წელს განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

- დადასტურებულია 326 ახალი სესხი, საერთო ღირებულებით 235,339,238 ლარი;
- ბენეფიციარების რაოდენობა - 282;
- დამტკიცებული პროექტების მიხედვით გათვალისწინებული ახალი სამუშაო ადგილების რაოდენობა - 2,931;
- გარანტია განთავსებულია 298 სესხზე;
- განთავსებული გარანტიის მოცულობამ შეადგინა 58,678,061 ლარი.

2026 წლის სამომავლო გეგმები

- დადასტურებულია 350 ახალი სესხი;
- ბიუჯეტი 50,000,000 ლარი.

1.3 მიკრომეწარმეობის ხელშეწყობის პროგრამა

პროექტის მიზანი:
პროგრამის მიზანია მიკრომეწარმეობის ხელშეწყობა, ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობისა და სამეწარმეო პოტენციალის ზრდა.

2025 წელს განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

- დადასტურებულია 1216 ახალი სესხი, საერთო ღირებულებით 55,836,610 ლარი;
- ბენეფიციარების რაოდენობა - 1216;
- დამტკიცებული პროექტების მიხედვით გათვალისწინებული ახალი სამუშაო ადგილების რაოდენობა - 2,740;
- თანადაფინანსება სულ გადაერიცხა 1,215 სესხს, გარანტია განთავსდა 1305 სესხზე;
- გაწეულმა თანადაფინანსებამ ახალ და არსებულ სესხებზე შეადგინა 2,673,327 ლარი, ხოლო განთავსებულმა გარანტიამ - 47,549,888 ლარი.

2026 წლის სამომავლო გეგმები

- დადასტურებულია 800 ახალი სესხი;
- ბიუჯეტი 37,000,000 ლარი.

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო

1. პროფესიული განათლების მიმართულება

1.1 პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის ზრდა

პროფესიული განათლების სისტემის განვითარების ერთ-ერთ მთავარ მიზანს დასაქმების ხელშეწყობა წარმოადგენს. კვალიფიციური სამუშაო ძალის მომზადებისა და შემდგომში მათი შრომის ბაზარზე ტრანზიციის მიმართულებით, პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა, მათ შორის გეოგრაფიული ქსელის გაფართოების გზით, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტია. ამ მიზნით სამინისტრო არაერთი მიმართულებით მუშაობს: ახალი კოლეჯების მშენებლობა/არსებული კოლეჯების

ძირითადი სასწავლო კორპუსების განვითარება; არსებული კოლეჯების ფილიალების განვითარება და პროფესიული პროგრამების დანერგვა საჯარო სკოლებში. შესაბამისად, ბოლო წლების განმავლობაში ფუნქციონირება დაიწყო არაერთმა კოლეჯმა ახალ ლოკაციებზე. საანგარიშო პერიოდში:

- დასრულდა ახალი კოლეჯის მშენებლობა ბორჯომში. შედეგად, ნოემბერში დაფუძნდა სსიპ - კოლეჯი „თორი“ – 250 პროფესიულ სტუდენტზე გათვლილი კოლეჯი, რომელიც რეგიონის მოთხოვნებზე მორგებულ საკვალიფიკაციო და პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამებს შესთავაზებს დაინტერესებულ პირებს;
- დასრულდა ახალი კოლეჯების მშენებლობა ბოლნისში და დაიწყო კოლეჯის დაფუძნებისათვის საჭირო პროცედურები. ბოლნისის კოლეჯი გათვლილია 150 პროფესიულ სტუდენტზე და საწყის ეტაპზე განახორციელებს სამედიცინო მიმართულების პროგრამებს;
- ხაშურში დაფუძნებულმა კოლეჯმა სსიპ - „ქართლი“ - მოიპოვა ავტორიზაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაზე;
- წყალტუბოში ახლად განვითარებულმა კოლეჯმა ავტორიზაციის პროცესისთვის დაიწყო მზადება;
- გაგრძელდა ბათუმში კოლეჯის სსიპ - „ბლექსი“ - ახალი შენობის მშენებლობის პროცესი, რომელშიც ასევე დაგეგმილია საერთო საცხოვრებლის სივრცის მოწყობა;
- სამინისტროს მხარდაჭერით, ბასკეთის კულინარიული ცენტრისა და კავკასიის უნივერსიტეტის თანამშრომლობით, გურჯაანში გაგრძელდა კავკასიის უნივერსიტეტის გასტრონომიული აკადემიის განვითარების პროცესი. ამ ეტაპზე მიმდინარეობს სამშენებლო სამუშაოები, რომლის დასრულებაც დაგეგმილია 2026 წელს;
- სამინისტროსა და გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკის (KFW) პარტნიორობის ფარგლებში, გაგრძელდა სამუშაოები თბილისში ლოგისტიკისა და სამშენებლო მიმართულების ე.წ. "ექსელენს ცენტრის" განვითარების მიზნით. "ექსელენს ცენტრი" კონკრეტულ დარგში მომავლის უნარების განვითარების საუკეთესო პრაქტიკის შექმნაზე იქნება ორიენტირებული და ამას მიაღწევს სექტორთან მჭიდრო კავშირებით, მაღალტექნოლოგიური სასწავლო გარემოთი, ინოვაციური მიდგომებითა და კერძო სექტორზე ორიენტირებული სერვისებით. მომზადებულია ცენტრის ბიზნეს მოდელი და გეგმა. 2024 წელს გამოცხადებული საერთაშორისო ტენდერის გზით შერჩეულმა კომპანიამ 2025 წელს დაიწყო სამშენებლო სამუშაოები.

მუნიციპალური დაფარვის გაუმჯობესებისა და პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, სამინისტროს ინიციატივით, 2024 წელს დაიწყო საკვანძო მნიშვნელობის პროექტი საჯარო სკოლების ბაზაზე პროფესიული განათლების მიღების შესაძლებლობის შექმნის მიმართულებით. საპილოტე რეჟიმში, საჯარო სკოლებში დაიწყო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების სწავლის შედეგები, ე.წ. "ინტეგრირებული პროგრამები". 2025 წელს დამატებით 63 საჯარო სკოლაში დაიწყო სასწავლო პროცესი ინტეგრირებულ პროგრამებზე, სადაც ჩაირიცხა 800-ზე მეტი პროფესიული სტუდენტი. აღნიშნული დაწესებულებები ფაქტობრივად, საქართველოს ყველა რეგიონშია წარმოდგენილი (გარდა რაჭა-ლეჩხუმისა), კერძოდ, 18 ქალაქსა და 27 სოფელში. ინიციატივა დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებს საშუალებას აძლევს, სკოლაშივე, სრულ ზოგად განათლებასთან ერთად, დაეუფლონ პროფესიას.

პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიმართულებით, ასევე აღსანიშნავია საჯარო სკოლების გაძლიერება პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების დანერგვის მიმართულებით. აზიის განვითარების ბანკის (ADB) მხარდაჭერით, საანგარიშო პერიოდში, გაგრძელდა მუშაობა საჯარო სკოლების ბაზაზე პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამების დანერგვის მიმართულებით. კერძოდ, 2024-2025 წლებში, ჯამურად, პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლება მოიპოვა 11-მა საჯარო სკოლამ, მათ შორის, 5 ისეთ მუნიციპალიტეტში (ასპინძა, მარტვილი, აბაშა, ნინოწმინდა და თერჯოლა), რომელშიც ამ დრომდე პროფესიული განათლება არ იყო ხელმისაწვდომი. აღნიშნული ხელს შეუწყობს სოფლად მცხოვრები მოსახლეობისთვის, მათ შორის ზრდასრული პირებისათვის, პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდასა და დასაქმებას.

„პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში შესული ცვლილებების საფუძველზე, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის ბრძანებით დამტკიცდა „პროფესიულ განათლებაში დისტანციური სწავლების განხორციელების წესი და პირობები“. საანგარიშო პერიოდში, არსებული პრაქტიკის შესწავლის საფუძველზე, მეტი მოქნილობის უზრუნველყოფის მიზნით, დამტკიცდა ცვლილებები ზემოხსენებულ ბრძანებაში, მათ შორის, განისაზღვრა, რომ კონკრეტული პროგრამის დისტანციურად განხორციელების შესაძლებლობა პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე დარგის ექსპერტის მიერ შეფასების და შესაბამისი უფლების მინიჭების საბჭოს განხილვის საგანია. აღნიშნული ცვლილება მნიშვნელოვანია როგორც სისტემის მოქნილობის, ისე პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამების მასშტაბისა და სექტორული მრავალფეროვნების გაზრდისათვის.

1.2 კვალიფიკაციების შემუშავება და გადამუშავება ახალი მეთოდოლოგიის შესაბამისად

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შრომის ბაზრის საჭიროებებთან მაქსიმალურად დაახლოებისა და ქვეყანაში ადამიანური კაპიტალის განვითარების მიზნით, პროფესიული განათლების სისტემაში მოქმედი კვალიფიკაციები ეტაპობრივად საჭიროებს გადახედვას, გაუმჯობესებასა და გარკვეულ სექტორებში ახალი კვალიფიკაციების გაჩენას. ახალი მეთოდოლოგიის შესაბამისად, კვალიფიკაციების გადახედვა აქტიურად დაიწყო 2023 წლიდან. კვალიფიკაციების განვითარების პროცესში, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კერძო სექტორის აქტიური ჩართულობა, რათა ერთობლივი ძალისხმევით და თანამშრომლობით მოხდეს მოთხოვნადი უნარების იდენტიფიცირება, პროფესიის და პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტების შემუშავება, რაც, თავის მხრივ, გააუმჯობესებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხს და უზრუნველყოფს სამუშაო ძალის აღჭურვას შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი უნარებითა და კომპეტენციებით.

საანგარიშო პერიოდში, დარგის ექსპერტების, მეთოდოლოგიური მხარდაჭერის სპეციალისტების, დარგობრივი ორგანიზაციების, კერძო კომპანიებისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებების აქტიური ჩართულობით, შემუშავდა/განვითარდა/განახლდა სხვადასხვა სფეროს 46 პროფესიული კვალიფიკაცია. განხორციელებული საქმიანობის შედეგად, 2025 წლის მდგომარეობით, ჯამში შემუშავდა/განახლდა 131 პროფესიული კვალიფიკაცია, მათ შორის, დამტკიცდა 85 პროფესიული კვალიფიკაცია. აღსანიშნავია, რომ პროფესიული კვალიფიკაციები ყველა ეკონომიკურ სექტორში განახლებულია და ზოგიერთ სექტორში შემუშავებულია ახალი კვალიფიკაციები.

1.3 პროფესიული განათლების მართვის თანამედროვე სისტემა

პროფესიული განათლების სისტემაში კერძო სექტორის ჩართულობის ხელშეწყობა ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია, ვინაიდან კერძო სექტორთან მჭიდრო თანამშრომლობა მნიშვნელოვანი ფაქტორია პროფესიული პროგრამების კურსდამთავრებულთა შრომის ბაზარზე ტრანზიციისთვის. საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობა ორიენტირებული იყო კერძო სექტორის ჩართულობის გაზრდაზე არა მხოლოდ პროგრამების შემუშავებაში, არამედ კვალიფიკაციების განვითარებასა და მართვის დონეზეც. საანგარიშო პერიოდში პროფესიული განათლების საფეხურზე საჯარო-კერძო პარტნიორობის არსებული მექანიზმების შესახებ ინდივიდუალური შეხვედრები გაიმართა 130-ზე მეტ ორგანიზაციასთან როგორც თბილისში, ასევე საქართველოს რეგიონებში.

პროფესიული განათლების სისტემაში კერძო სექტორის როლის გაძლიერების მიზნით, განხორციელებული ინტერვენციების შედეგად, მომზადებულია ნიადაგი იმისათვის, რომ კერძო სექტორი ჩაერთოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მიწოდებასა და მართვაში. აღსანიშნავია, რომ ნებისმიერ დაინტერესებულ კომპანიას ეძლევა შესაძლებლობა წარმოადგინოს ხედვა საჯარო-კერძო პარტნიორობის შესახებ, რომელიც შესაძლოა განხორციელდეს პროფესიული განათლების პროვაიდერის

თანადაფუძნების/თანაინვესტირების, მართვაში ნაწილობრივ ან/და სრულად გადაცემის ან/და ინფრასტრუქტურის პირობით სარგებლობაში გადაცემის მიმართულებით. აღნიშნული ხელს შეუწყობს პროფესიული განათლების მიმწოდებლების დარგთან თანხვედრაში განვითარებას და პროფესიული განათლების უკეთ მორგებას კერძო სექტორის ინტერესებზე.

საანგარიშო პერიოდში, აქტიურად მიმდინარეობდა მოლაპარაკებები სხვადასხვა ბიზნეს ორგანიზაციებთან, თანამშრომლობის ფორმატის განსაზღვრისა და მათი წინადადებების განხილვის მიზნით. მათ შორის, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსა და „ბიქეი ქონსთრაქშენის“ წარმატებული თანამშრომლობის შედეგად, სამშენებლო კოლეჯის „კონსტრუქტ2“ ფილიალის განვითარების მიზნით, 2025 წელს აქტიურად წარიმართა სამშენებლო სამუშაოები ახალციხის მუნიციპალიტეტში, ქ. ვალეში. საჯარო-კერძო პარტნიორობის ფარგლებში, მიღწეულ იქნა შეთანხმება დურგალთა ამქართან (საერთაშორისო პარტნიორობა ავსტრიასთან), ახალი პროექტის განხორციელების მიზნით, რომელიც მიზნად ისახავს ქვეყანაში სადურგლო მიმართულების გაძლიერებას.

1.4 მრავალფეროვანი საგანმანათლებლო პროგრამები პროფესიულ განათლებაში

მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის შესაძლებლობის უზრუნველყოფისა და შრომის ბაზრის მოთხოვნების შედარებით მოკლე დროში დაკმაყოფილების მიზნით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ზრდასრული მოსახლეობის პოტენციალის გააქტიურება და მათი კომპეტენციების განახლება. ამიტომ, ყოველწლიურად იზრდება პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების მიწოდების მასშტაბი. 2025 წლის მდგომარეობით, დაინტერესებული პირებისათვის ხელმისაწვდომი იყო პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების 722 პროგრამა, რომლებსაც ახორციელებენ როგორც კერძო და საჯარო, ასევე საგანმანათლებლო და არასაგანმანათლებლო ტიპის დაწესებულებები.

აღსანიშნავია, რომ 2025 წელს სისტემას დაემატა პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების 130 პროგრამა. მიზნობრივი სახელმწიფო დაფინანსების ფარგლებში, 2025 წელს დაფინანსდა 79 იურიდიული პირის 338 პროგრამა/ნაკადი, რითაც გათვალისწინებულია ჯამში 5000-ზე მეტი მსმენელის მომზადება/გადამზადება. ჯამურად კი, 2025 წელს აღნიშნულ პროგრამებში ჩაერთო 11 900-ზე მეტი პირი, რაც წინა წლის მაჩვენებელს დაახლოებით 22.7%-ით აღემატება. ხაზგასასმელია, რომ ზრდასრულთა განათლების სისტემის დანერგვიდან 2025 წლის მდგომარეობით, პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამებზე ჩარიცხული მსმენელების ჯამური რაოდენობა 45 000-ზე მეტია.
2025 წლის განმავლობაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელმა დაწესებულებებმა დაიმატეს 8 პროგრამა დისტანციური სწავლების კომპონენტების გამოყენებით. ამ დროისათვის სისტემაში ხორციელდება 18 პროგრამა (მათ შორის - მომზადება-გადამზადების 13 პროფესიული პროგრამა) დისტანციური სწავლების კომპონენტების გამოყენებით.

ამასთან, აქტიურად განხორციელდა სამუშაოები დუალურ სწავლებაში კერძო კომპანიების ჩართვის მიმართულებით. საანგარიშო პერიოდში, დუალურ სწავლებაში ჩართულ 14 კერძო კომპანიას მიენიჭა სასწავლო საწარმოს სტატუსი, ხოლო დანარჩენი საწარმოები მომზადდნენ სტატუსის მისაღებად. ჯამში, სასწავლო საწარმოს სტატუსის მქონე ორგანიზაციების რაოდენობა შეადგენს 22-ს, რაც კერძო სექტორის თანამონაწილეობას პროგრამის განხორციელების ეტაპზე კიდევ უფრო მეტად ზრდის.

1.5 პროფესიულ განათლებაში დასაქმების ხელშემწყობი სერვისების განვითარება

პროფესიული განათლებით დაინტერესებული პირებისა და პროფესიული სტუდენტებისათვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სერვისს წარმოადგენს კარიერული ორიენტაცია. პროფესიული სტუდენტების კარიერული ორიენტაციისა და კარიერული განვითარების მიმართულებით EuroGuidance-ის ქსელის ფარგლებში, 2025 წელს აქტიურად გაგრძელდა სამუშაოები პროექტის "Quality Assurance for Career Guidance Service through

Continuous Professional Development (CPD) of Career Guidance Specialists in TVET Ecosystems of Georgia/კარიერის მართვის სერვისების ხარისხის უზრუნველყოფა კარიერის მართვის სპეციალისტების უწყვეტი პროფესიული განვითარების (CPD) მეშვეობით საქართველოს TVET ეკოსისტემაში" ფარგლებში. საანგარიშო პერიოდში განხორციელებული სამუშაოების შედეგად შეიქმნა კარიერის მართვის სპეციალისტების უწყვეტი პროფესიული განვითარების მოდელი (CPD მოდელი) და in-service ტრენინგ მოდულების კატალოგი, ასევე, გაგრძელდა სამუშაოები in-service ტრენინგ-პროგრამის მოდულების შემუშავების მიმართულებით. მოდულები ფოკუსირდება ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა: კარიერის მართვის სპეციალისტების/მენეჯერების პროფესიული განვითარება, ხელოვნური ინტელექტი კარიერულ ორიენტაციაში, ეფექტური კომუნიკაციისა და კონსულტირების უნარები, ინკლუზიური კარიერული სერვისები, შრომის ბაზრის კვლევა და ა.შ.

პროფესიული ორიენტაციის მხარდაჭერის მიმართულებით, 2017 წლიდან ხორციელდება სკოლის მოსწავლეების პროფესიული უნარების განვითარებაზე ორიენტირებული აქტივობები საჯარო სკოლების ბაზაზე, რაც პროფესიული განათლების სისტემის ფარგლებში კარიერის მართვის სერვისის ერთ-ერთ ქმედით ინსტრუმენტს წარმოადგენს. პროგრამის ფარგლებში, სკოლის მოსწავლეებს შესაძლებლობა აქვთ სხვადასხვა პროფესიაში სცადონ საკუთარი ძალები და მიიღონ გააზრებული და ინფორმირებული კარიერული გადაწყვეტილება. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, 2025 წელს დამატებით განხორციელდა 50-მდე სასერტიფიკატო და საორიენტაციო კურსი საჯარო სკოლებში.

პროფესიული განათლების სივრცეში ასევე მნიშვნელოვანია სამეწარმეო კომპეტენციების განვითარება. აღნიშნული მიზნით, 2025 წელს აგრარული მიმართულების პროფესიული კოლეჯების სტუდენტებისთვის სტუდენტური სამეწარმეო პროექტების კონკურსი გაიმართა. აგრეთვე, განხორციელდა პროექტი „სამეწარმეო კომპეტენციების განვითარება ბიზნეს სიმულაციების გამოყენებით სწავლების პროცესში", რომელიც მიზნად ისახავდა პროფესიული განათლების სფეროში მეწარმეობის კომპეტენციების განვითარების ხელშეწყობას, სტუდენტებს შორის აქტიური ჩართულობის გაზრდას და ახალი უნარების გამომუშავებას არაფორმალური განათლების მეთოდების გამოყენებით. პროექტის ფარგლებში გაიმართა სიმულაციური თამაშები, რომლებიც მოიცავს საწარმოო პროცესების ყველა ეტაპს, დაწყებული იდეის გენერაციიდან, დასრულებული შემოსავლების გენერირებით.

1.6 სტუდენტური სერვისების განვითარება

მუდმივად განვითარებად და ცვალებად სამყაროში დარგობრივი კომპეტენციების განვითარებასთან ერთად უფრო და უფრო აქტუალური ხდება საკვანძო კომპეტენციების განვითარება. ვინაიდან დასაქმებისთვის საჭირო კომპეტენციების განვითარება ვერ მიიღწევა მხოლოდ ფორმალური საგანმანათლებლო პროგრამებით, სახელმწიფო დაფინანსებით მხარდაჭერილია კოლეჯებში ექსტრაკურიკულური აქტივობებისა და არაფორმალური საგანმანათლებლო კურსების განხორციელება. პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში არაფორმალური განათლების დანერგვისა და სტუდენტური ცხოვრების გამრავალფეროვნებისთვის, საანგარიშო პერიოდში აქტიურად მიმდინარეობდა მუშაობა ექსტრაკურიკულური აქტივობებისა და არაფორმალური საგანმანათლებლო კურსების დანერგვის მიმართულებით. 2025 წელს, ექსტრაკურიკულური აქტივობებისა და არაფორმალური განათლების მხარდაჭერის მიზნით, გამოცხადებული საგრანტო კონკურსების ფარგლებში დაფინანსდა ჯამში 25-მდე პროექტი/კურსი.

არაფორმალურ საგანმანათლებლო სერვისებსა და სტუდენტებს შორის საკვანძო კომპეტენციების განვითარების მიზნით, გაციფრულდა კურსები: „კიბერუსაფრთხოება და ეთიკური ჰაკინგი" და „ხელოვნური ინტელექტის გამოყენება", რომელიც ხელმისაწვდომია პლატფორმაზე https://lms.geoskills.ge/.

1.7 კვლევითი კომპეტენციების გაძლიერება პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში

პროფესიული განათლების სისტემის ეფექტიანობის შეფასების მიზნით, ყოველწლიურად ტარდება კურსდამთავრებულთა კმაყოფილების კვლევა (ე. წ. Tracer Study). საანგარიშო პერიოდში გამოქვეყნდა 2023 წლის კოჰორტის კურსდამთავრებულთა კვლევის ანგარიში და ჩატარდა საველე სამუშაოები, 2024 წლის კოჰორტის კურსდამთავრებულთა კვლევის მიზნით. აღსანიშნავია, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი მაღალ ნიშნულს ინარჩუნებს და ბოლო წლებში 74%-81% მერყეობს. მათ შორის, უახლესი კვლევის მიხედვით (2025), 2023 წლის კოჰორტაში დასაქმების მაჩვენებელმა 79.4% შეადგინა. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული კვლევის განხორციელებაში ჩართული იყო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების შესაბამისი პერსონალი, მეტწილად კარიერული კონსულტირების სპეციალისტები, რომელთა მხარდაჭერასაც განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო ახორციელებდა.

პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში კვლევითი კომპეტენციების გაძლიერება მნიშვნელოვანია, რათა დაწესებულებებმა შეძლონ, ერთი მხრივ, უკვე არსებული კვლევების ანალიზი და მეორე მხრივ, თავად განახორციელონ შრომის ბაზრის საჭიროებების კვლევა, რომლის საფუძველზეც დანერგავენ პროფესიულ პროგრამებს. 2025 წელს ჩატარდა ადგილობრივი შრომის ბაზრის კვლევა, რომელიც მიზნად ისახავდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებების მხარდაჭერას შრომის ბაზრის შესაბამისი პროფესიული პროგრამების შემუშავება/დანერგვის მიმართულებით. დაწესებულებებთან თანამშრომლობით ჩატარდა ფოკუს-ჯგუფები დაწესებულების პარტნიორებთან და პოტენციურ დამსაქმებლებთან. კვლევის შედეგები გაზიარებული იყო შესაბამის კოლეჯებთან.

2. ზოგადი განათლების მიმართულება

ზოგადი განათლების მიმართულებით, 2025 წლიდან საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის ინიციატივით, ხორციელდება ქვეპროგრამა „STEAM განათლება“, რომლის მიზანია სკოლებში ტექნოლოგიების, ინჟინერიის, ვიზუალური ხელოვნებისა და მათემატიკის მიმართულებების გაძლიერება და სწავლების ინოვაციური მიდგომების დანერგვა.

პროგრამა განხორციელდა რამდენიმე ეტაპად: ღია რეგისტრაციის შედეგად 633 სკოლის 838 მასწავლებელი დარეგისტრირდა. ონლაინ ვებინარებისა და კონკურსის საფუძველზე, შეირჩა საუკეთესო შედეგის მქონე 200 მასწავლებელი. შერჩეულმა პედაგოგებმა გაიარეს პროფესიული გადამზადება ბანაკის ფორმატში, რომელიც ორ ნაკადად ჩატარდა ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის ბაზაზე. ბანაკის ფარგლებში, მასწავლებლებმა იმუშავეს პრაქტიკულ STEAM პროექტებზე და გაეცნენ კლუბური საქმიანობისთვის აუცილებელ სტანდარტებს.

2025-2026 სასწავლო წლიდან STEAM კლუბები უკვე ფუნქციონირებს 209 საჯარო სკოლაში. კლუბური მეცადინეობები ტარდება კვირაში ერთხელ და ორიენტირებულია პრაქტიკულ, პროექტზე დაფუძნებულ სწავლებაზე, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა ტექნოლოგიური, ინჟინერიული და შემოქმედებითი უნარების განვითარებას.

2026-2027 სასწავლო წლისთვის იგეგმება STEAM განათლების მასშტაბის გაფართოება, როგორც გეოგრაფიულად, ისე შინაარსობრივად. დაგეგმილია ახალი STEAM კლუბების შექმნა დამატებით საჯარო სკოლებში, არსებული ინფრასტრუქტურის გაძლიერება და სასწავლო რესურსების განახლება. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას, ინოვაციური სასწავლო მოდელების დანერგვას. STEAM განათლების განვითარების გრძელვადიანი მიზანია მოსწავლეების მომზადება მომავლის პროფესიებისთვის და მათი წარმატებული ტრანზიციის ხელშეწყობა განათლების შემდგომ საფეხურებსა და შრომის ბაზარზე.

3. უმაღლესი განათლების მიმართულება

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებით უზრუნველყოფილია უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში განათლების ხარისხის განვითარების ხელშეწყობა და სტუდენტზე ორიენტირებული საგანმანათლებლო გარემოს უზრუნველყოფა, მათ შორის, **დასაქმების ხელშეწყობა.** ეს პროცესი მოიცავს რამდენიმე მიმართულების ძალისხმევას, კერძოდ,

- **უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა-შემუშავების დროს დამსაქმებლის მონაწილეობა.** პროგრამის შემუშავებაში მონაწილეობს ყველა ის მხარე, რომელიც უზრუნველყოფს ხარისხიანი და **შრომის ბაზარზე ორიენტირებული,** თანამედროვე საგანმანათლებლო პროგრამის შექმნას. ჩართულ მხარეებს შორის არიან **დამსაქმებლები და პროფესიული ასოციაციები.** ამ პროცესში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს დამსაქმებლის უკუკავშირს.
- **კარიერული მხარდაჭერის სერვისი** - უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ფუნქციონირებს **კარიერული მხარდაჭერის სერვისი,** სადაც სტუდენტები იღებენ შესაბამის კონსულტაციას და მხარდაჭერას, როგორც დასაქმების, ასევე კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებულ საკითხებზე (ავტორიზაციის სტანდარტი 5.2). უნივერსიტეტის ადმინისტრაცია ვალდებულია, უზრუნველყოს პოტენციურ დამსაქმებლებთან დაკავშირებით ინფორმაციის მოძიება და ჰქონდეს დამსაქმებლებთან გარკვეული თანამშრომლობა. ასევე, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისი სტაჟირებისა და პრაქტიკის განხორციელებას.
- ხაზგასასმელია, რომ ავტორიზაციის სტანდარტის მიხედვით, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია აწარმოოს **დამსაქმებლების ბაზა** და მუდმივად მიაწოდოს სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს განახლებული ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან დაკავშირებით.

2025 წლის პირველი დეკემბრის **N1994 საქართველოს მთავრობის** განკარგულებით დამტკიცდა *„უმაღლესი განათლების სისტემის რეფორმის ეროვნული კონცეფცია“*, რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებაზე, უმაღლესი განათლების სისტემასა და შრომის ბაზარს შორის ურთიერთკავშირის გაძლიერებაზე. კონცეფციის თანახმად, საქართველოს მთავრობის და შესაბამისი აღმასრულებელი ერთეულების ძალისხმევა უნდა მიემართოს საკვანძო გამოწვევას - **სუსტი კავშირი უმაღლესი განათლების პრიორიტეტებსა და შრომის ბაზრის მოთხოვნებს შორის.** არსებობს რიგი სპეციალიზაციებისა და მიმართულებებისა, რომელთა მოთხოვნა მაღალია შრომის ბაზარზე, მაგრამ, სახელმწიფო უმაღლესი სასწავლო დაწესებულებები შესაბამისი რაოდენობის და ხარისხის პერსონალის მომზადებას ვერ ახერხებენ. უნივერსიტეტებში სტუდენტების მიღებისას, კვოტების რაოდენობრივი განაწილება არ ეფუძნება შრომის ბაზრის არსებული და პოტენციური მოთხოვნების რაიმე სიღრმისეულ ანალიზს. შედეგად, პრაქტიკაში აღინიშნება თვისებრივი რაოდენობრივი შეუსაბამობა უნივერსიტეტების მიერ გამოშვებული სტუდენტების კვალიფიკაციასა და შრომის ბაზრის მოთხოვნებს შორის.

საქართველოს პრემიერ-მინისტრის ინიციატივით, განათლების სისტემის რეფორმის მიზნით შრომის ბაზარზე, კერძო და სახელმწიფო სექტორებში არსებული დასაქმების, ასევე, სამომავლო მოთხოვნის განსაზღვრის მიზნით ჩატარდა კვლევა (კვლევა განხორციელდა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების გუნდის მიერ). კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, შრომის ბაზრის ანალიზის საფუძველზე, სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღება დაიგეგმა არსებული გამოწვევების გათვალისწინებით.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, თავის მხრივ ინიციირებას უწევს სხვადასხვა პროგრამებსა და პროექტებს, რომელთა მიზანია სოფლად მცხოვრები მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდა, მეწარმეობის ხელშეწყობა და ამ მიზნით ცნობიერების ამაღლება.

1. სსიპ - გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ - **გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი** წარმოადგენს მნიშვნელოვან ინსტიტუციურ მექანიზმს, რომელიც მიზნად ისახავს საზოგადოებაში გარემოსდაცვითი და აგრარული განათლების გაძლიერებას.

2025 წლის განმავლობაში, დასაქმების პოლიტიკის ხელშეწყობის მიზნით, ცენტრმა განახორციელა პროფესიული მომზადების პროგრამა „გარემოსდაცვითი მმართველი“:

- პროფესიული მომზადების პროგრამის **„გარემოსდაცვითი მმართველი“** მიზანია მწვანე ბიზნესის ხელშეწყობა და კანონით დადგენილი მოთხოვნებისა და თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად კომპანიებისთვის შესაბამისი კადრების მომზადება და კვალიფიკაციის ამაღლება;

- 2025 წელს პროგრამის ფარგლებში მომზადდა **12 პირი** (7 ქალი; 5 კაცი). კურსის წარმატებით დასრულების შემდეგ მონაწილეებს გადაეცათ **სახელმწიფოს მიერ აღიარებული სერტიფიკატები.**

ცენტრის მიერ მაცივარაგენტზე მომუშავე მოწყობილობების მომსახურე ტექნიკოსების სერტიფიცირება მიენიჭა მაცივარაგენტზე მომუშავე მოწყობილობების 135 ტექნიკოსს და 65 იურიდიულ პირს.

ცენტრი, ასევე ახორციელებს ტრენინგებს ფერმერებისა და სხვა დაინტერესებული პირებისთვის აგრარული მიმართულებით. ფერმერთა შესაძლებლობებისა და თეორიული და პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარების მიზნით, 2025 წელს გადამზადდა 548 პირი, მათგან დასაქმების პოლიტიკის ხელშეწყობის მიზნების გათვალისწინებით განხორციელდა შემდეგი ტრენინგები:

- სწავლების მეთოდები და სასწავლო რესურსები (TLM) — პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და კოლეჯების მასწავლებლებისთვის (68 მონაწილე);
- აგრარული ცოდნისა და ინოვაციების ხელშეწყობა — გურიისა და იმერეთის მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებისთვის, აგრარული სფეროს სპეციალისტებისთვის, განათლების სფეროს წარმომადგენლებისთვის, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებისა და სოფლის განვითარების სააგენტოს თანამშრომლებისთვის - 39 მონაწილე;
- „ქარსაფარი ზოლების მართვა და მენეჯმენტი“ — 140 მონაწილე;
- სასწავლო ტრენინგ-ტური აგრარული მიმართულებით - აგრარული პროფესიული კოლეჯებისა და უნივერსიტეტების სტუდენტებისთვის - 25 მონაწილე;
- მესაქონლეობის ფერმის მართვა და მენეჯმენტი — GEOGAP-ის სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად - 170 მონაწილე;
- „კივის წარმოების აგროტექნოლოგია“ — 29 მონაწილე;
- N2; N5; N8; N10; N15; N17 პენიტენციური დაწესებულებების 77 მსჯავრდებული გადამზადდა კენკროვანი კულტურების აგროტექნოლოგიაში (ჟოლოსა და მარწყვის მოვლა-მოყვანა); მეფუტკრეობასა და მეხილეობაში (მსხლისა და ვაშლის კულტურების წარმოების თანამედროვე ტექნოლოგიები).

2026 წლის სამომავლო გეგმები

სსიპ - გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის მიერ დასაქმების პოლიტიკის ხელშეწყობის მიზნით 2026 წელს დაგეგმილია, კვლავ ეფექტურად განხორციელდეს ზემოაღნიშნული აქტივობები. ამასთან, დაგეგმილია მეტი აქცენტი გაკეთდეს შემდეგ აქტივობებზე:

- ახალგაზრდული პროგრამების განხორციელება დეფიციტური გარემოსდაცვითი და აგრარული პროფესიების პოპულარიზაციის მიზნით;
- მსჯავრდებულთა ტრენინგები აგრარული განათლების მიმართულებით;

- საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და მის დაქვემდებარებაში მყოფი უწყებების თანამშრომელთა ტრენინგების განხორციელება კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით;
- კერძო სექტორთან თანამშრომლობის გაძლიერება აგრარული და გარემოსდაცვითი დეფიციტური პროფესიების პოპულარიზაციის მიზნით.

2. ა(ა)იპ - სოფლის განვითარების სააგენტო

ა (ა)იპ - სოფლის განვითარების სააგენტო ახორციელებს სამინისტროს მიერ ინიციირებულ პროგრამებსა და პროექტებს. აღნიშნული საქმიანობა ორიენტირებულია სოფლის მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდაზე და სოფლის მეურნეობის განვითარებაზე.

2.1 შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტი

პროექტის მიზანი:
პროექტის მიზანია, აგრომეწარმეებისთვის ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გზით, სოფლის მეურნეობის პირველადი წარმოების გადამამუშავებელი წარმოების, აგროპროდუქციის შენახვისა და რეალიზაციის ხელშეწყობა.

პროექტის ფარგლებში, სოფლის მეურნეობის პირველადი წარმოების, გადამამუშავებელი და შენახვა-რეალიზაციის მიმართულებით დასაქმებული ფერმერები და საწარმოები საფინანსო ინსტიტუტებისგან იღებენ აგროკრედიტს და აგროლიზინგს ძირითადი და საბრუნავი საშუალებებისთვის. კრედიტებს/ლიზინგებს გასცემენ პროექტში მონაწილე კომერციული ბანკები/საფინანსო ინსტიტუტები (15 ბანკი და 4 სალიზინგო ორგანიზაცია), ხოლო სააგენტო ახორციელებს სესხის/ლიზინგის საპროცენტო განაკვეთის/ლიზინგის საზღაურის თანადაფინანსებას.უნდა აღინიშნოს, რომ აგროსექტორით საბანკო/სალიზინგო სექტორის დაინტერესება პროექტის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიღწევაა, რაც სოფლის მეურნეობის განვითარებას უწყობს ხელს. აღნიშნული პროექტის განხორციელებით, მეწარმეებისა და ფერმერებისთვის ხელმისაწვდომი გახდა იაფი ფინანსური რესურსი.

2025 წელს განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

- გაცემულია 5,634 ახალი სესხი, საერთო ღირებულებით 894,451,975 ლარი;
- ბენეფიციარების რაოდენობა - 4,859;
- სულ მომსახურება გაეწია 27,754 სესხს;
- გაწეულმა თანადაფინანსებამ ახალ და არსებულ სესხებზე შეადგინა 233,281,712 ლარი.

2.2 სახელმწიფო პროგრამა „დანერგე მომავალი“

პროგრამის მიზანი:
პროგრამის ფარგლებში, ფერმერებს საშუალება აქვთ სახელმწიფო თანადაფინანსების დახმარებით, გააშენონ მრავალწლიანი ხეხილის ბაღები, კენკროვანი კულტურები და შექმნან სანერგე მეურნეობები. პროგრამის განხორციელება 2015 წლის მარტში დაიწყო და მისი მთავარი მიზანია, მრავალწლიანი კულტურების გაშენების გზით, საქართველოში არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწების ეფექტიანი გამოყენება, რის შედეგადაც, მოხდება იმპორტირებული პროდუქციის ქართული პროდუქციით ჩანაცვლება, გაიზრდება ექსპორტი, გაადვილდება გადამამუშავებელი საწარმოების ნედლეულით უზრუნველყოფა და გაუმჯობესდება სოფლად მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა. ამასთანავე, კენკროვანი კულტურების თანადაფინანსების ქვეკომპონენტის მიზანია დაბალი აქტივობის ცალკეულ სოფლებსა და მუნიციპალიტეტებში, სადაც მაღალია სასოფლო-სამეურნეო სავარგულების

ფრაგმენტაცია და ვერ ხდება მიწის ნაკვეთების გაერთიანება, საკარმიდამო კატეგორიის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მქონე მიწის ნაკვეთებზე კენკროვანი კულტურების ეფექტური წარმოება.

2025 წელს განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

სულ პროგრამის ფარგლებში ბაღების, სეტყვის საწინააღმდეგო სისტემების მოწყობის, ჭის/ჭაბურღილის/სატუმბი სადგურის მოწყობის და წვეთოვანი სარწყავი სისტემის მოწყობის კომპონენტების ფარგლებში 505 უნიკალურ ბენეფიციარს გაუფორმდა 566 ხელშეკრულება, ხელშეკრულებით განსაზღვრული ჯამური ინვესტიციის მოცულობა შეადგენს 53,497,924 ლარს, საიდანაც სააგენტოს თანადაფინანსების წილი შეადგენს 23,792,487 ლარს, დაკონტრაქტებული ფართობი შეადგენს 2,780.5 ჰა-ს.

მათ შორის:

1. **დაკონტრაქტებული ბაღების ფართობი შეადგენს 2,407.2 ჰა-ს**

ბაღების კომპონენტის ფარგლებში 430 უნიკალურ ბენეფიციარს გაუფორმდა 489 ხელშეკრულება, ხელშეკრულებით განსაზღვრული ჯამური ინვესტიციის მოცულობამ შეადგინა 49,241,592 ლარი, საიდანაც სააგენტოს თანადაფინანსების წილი შეადგენს 22,351,443 ლარს, დაკონტრაქტებული ფართობი შეადგენს 2,407.2 ჰა-ს.

2. **სეტყვის საწინააღმდეგო სისტემების მოწყობის მიზნით დაკონტრაქტებული ფართობი შეადგენს 51.6 ჰა-ს**

სეტყვის საწინააღმდეგო სისტემების მოწყობის თანადაფინანსების კომპონენტის ფარგლებში 14 უნიკალურ ბენეფიციარს გაუფორმდა 14 ხელშეკრულება, ხელშეკრულებით განსაზღვრული ჯამური ინვესტიციის მოცულობამ შეადგინა 2,292,041ლარი, საიდანაც სააგენტოს თანადაფინანსების წილი შეადგენს 526,753 ლარს, დაკონტრაქტებული ფართობი შეადგენს 51.6 ჰა-ს;

3. **წვეთოვანი სარწყავი სისტემის მოწყობის მიზნით დაკონტრაქტებული ფართობი შეადგენს 105.9 ჰა-ს**

წვეთოვანი სარწყავი სისტემის მოწყობის თანადაფინანსების კომპონენტის ფარგლებში 20 უნიკალურ ბენეფიციარს გაუფორმდა 22 ხელშეკრულება, ხელშეკრულებით განსაზღვრული ჯამური ინვესტიციის მოცულობამ შეადგინა 543,259 ლარი, საიდანაც სააგენტოს თანადაფინანსების წილი შეადგენს 245,310 ლარს, დაკონტრაქტებული ფართობი შეადგენს 105.9 ჰა-ს.

4. **ჭის/ჭაბურღილის/სატუმბი სადგურის მოწყობის მიზნით დაკონტრაქტებული ფართობი შეადგენს 215.8 ჰა-ს**

ჭის/ჭაბურღილის/სატუმბი სადგურის მოწყობის თანადაფინანსების კომპონენტის ფარგლებში 41 უნიკალურ ბენეფიციარს გაუფორმდა 41 ხელშეკრულება, ხელშეკრულებით განსაზღვრული ჯამური ინვესტიციის მოცულობამ შეადგინა 1,421,032 ლარი, საიდანაც სააგენტოს თანადაფინანსების წილი შეადგენს 668,981 ლარს, დაკონტრაქტებული ფართობი შეადგენს 15.8 ჰა-ს.

2.3 აგროდაზღვევის პროგრამა

პროგრამის მიზანი:
აგროდაზღვევის პროგრამის მიზანი აგროსექტორში სადაზღვევო ბაზრის განვითარება, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის ხელშეწყობა, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობით დაკავებული პირებისთვის შემოსავლის შენარჩუნება და რისკების შემცირებაა. პროგრამა ხორციელდება 2014 წლიდან. აგროდაზღვევის პროექტის ფარგლებში, ფერმერებს შესაძლებლობა აქვთ დააზღვიონ მოსავალი სეტყვის, წყალდიდობის, ქარიშხლისა და საშემოდგომო ყინვისგან.

2025 წელს განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

- გაცემული პოლისების რაოდენობა - 14,329;
- ბენეფიციარების რაოდენობა - 8,033;
- დაზღვეული მოსავლის ღირებულება - 180,590,627 ლარი;
- დაზღვეული მოსავლის ფართობი - 16,377 ჰა;
- სააგენტოს სადაზღვევო პრემიის წილი (სააგენტოს თანადაფინანსება) - 13,836,595 ლარი.

2.4 გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების პროექტი

პროექტის მიზანი:
პროექტის მიზანია საქართველოში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ახალი გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსება.

აღნიშნული პროექტის ფარგლებში მაღალმთიანი დასახლებების შემთხვევაში თანადაფინანსების ოდენობა გაზრდილია 10%-ით.

2025 წელს განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

- გადამამუშავებელი საწარმოების კომპონენტის ფარგლებში დამტკიცდა 3 პროექტი, ინვესტიციის ჯამური ღირებულებით 2,522,070 ლარი, საიდანაც ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანადაფინანსების მოცულობა შეადგენს - 804,828 ლარს;
- შემნახველი საწარმოების კომპონენტის ფარგლებში დამტკიცდა 14 პროექტი, ინვესტიციის ჯამური ღირებულებით 16,655,365 ლარი, საიდანაც ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანადაფინანსების მოცულობა შეადგენს - 4,897,400 ლარს;
- სააგენტოს თანადაფინანსება მიიღო 19 ბენეფიციარმა.

2.5 ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამა „ქართული ჩაი"

პროგრამის მიზანი:
პროექტის მიზანია, როგორც კერძო სექტორში, ასევე, სახელმწიფო საკუთრებაში არსებულია ჩაის პლანტაციების რეაბილიტაცია, ჩაის პოტენციალის ეფექტიანად გამოყენება, თანამედროვე ჩაის გადამამუშავებელი საწარმოების შექმნა და ადგილობრივი ჩაის (მათ შორის, ბიო ჩაი) წარმოების ზრდის ხელშეწყობა. შედეგად ქვეყანაში ამაღლდება თვითუზრუნველყოფის დონე და გაიზრდება საექსპორტო პოტენციალი.

2025 წელს განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

- ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამის „ქართული ჩაი" ფარგლებში საანგარიშო პერიოდში (01.01.2025 – 31.12.2025) ხელშეკრულებები არ გაფორმებულა;
- არსებული ხელშეკრულების ფარგლებში თანადაფინანსება გაიცა 1 ბენეფიციარზე.

2.6 სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის თანადაფინანსების სახელმწიფო პროგრამა

პროგრამის მიზანი:
სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის თანადაფინანსების პროგრამის მიზანია, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკაზე (ნებისმიერი ტიპის მოსავლის ამღები ტექნიკა, როგორც თვითმავალი, ასევე მისაბმელი; სასოფლო-

სამეურნეო ტრაქტორები; ტრაქტორის სასოფლო- სამეურნეო მისაბმელების (იმპლემენტი) და მოტობლოკი) ხელმისაწვდომობის გაზრდა.

2025 წელს განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

- გაფორმდა 106 ხელშეკრულება, ჯამური თანხით - 28,583,411 ლარი, საიდანაც ხელშეკრულებებით გათვალისწინებული თანადაფინანსების მოცულობა შეადგენს - 7,830,591 ლარს;
- გასულ წელს აღებული ვალდებულებების ფარგლებში, თანადაფინანსება გაეწია 81 ბენეფიციარს.

2.7 მერძევეობის დარგის მოდერნიზაციისა და ბაზარზე წვდომის სახელმწიფო პროგრამა (DIMMA)

პროგრამის მიზანი:
მერძევეობის დარგის მოდერნიზაციის და ბაზარზე წვდომის სახელმწიფო პროგრამის მიზანია, სოფლად ეკონომიკის განვითარება, კონკურენტუნარიანი, დივერსიფიცირებული და მდგრადი მერძევეობის დარგის ჩამოყალიბების ხელშეწყობის გზით. პროგრამის ამოცანაა რძის მცირე მწარმოებლებისთვის მდგრადობის და მოქნილობის ხელშეწყობა.

2025 წელს განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

გაფორმდა 39 ხელშეკრულება, ჯამური თანხით - 2,284,780 ლარი, საიდანაც ხელშეკრულებებით გათვალისწინებული თანადაფინანსების მოცულობა შეადგენს - 1,556,060 ლარს;

მიმდინარეობდა გასული წლების განმავლობაში აღებული ვალდებულებების შესრულება - თანადაფინანსება მიიღო 233 ბენეფიციარმა.

2.8 კოოპერატივების ხელშეწყობის პროგრამები

პროგრამის მიზანი:

- „მეფუტკრეობის სასოფლო - სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამის“ მიზანია სასოფლო - სამეურნეო კოოპერატივების საფუტკრე მეურნეობების მატერიალურ - ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება და წარმოებული თაფლისა და მეფუტკრეობის სხვა პროდუქტების ხარისხისა და რაოდენობის ზრდა;
- „სასოფლო - სამეურნეო კოოპერატივებისათვის კენკროვანი კულტურების შესანახი მაცივრების თანადაფინანსების სახელმწიფო პროგრამის“ მიზანს წარმოადგენს სასოფლო - სამეურნეო კოოპერაციის ხელშეწყობა და ა(ა)იპ - სოფლის განვითარების სააგენტოს მიერ განხორციელებული პროექტების/პროგრამების ფარგლებში გაშენებული კენკროვანი კულტურების ბაღებიდან.

2025 წელს განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

- „მეფუტკრეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში გაფორმდა 3 ხელშეკრულება. ხელშეკრულებით განსაზღვრულმა თანადაფინანსების მოცულობამ შეადგინა 36,800 ლარი;
- თანადაფინანსების თანხა მიიღო 4-მა ბენეფიციარმა.

2.9 პროექტების ტექნიკური მხარდაჭერის პროგრამა

პროგრამის მიზანი:

- სააგენტოს მიერ განხორციელებული/განსახორციელებელი პროექტების/პროგრამების ფარგლებში დაფინანსებული/დასაფინანსებელი პოტენციური ბენეფიციარების/ბენეფიციარების მხარდაჭერა თანადაფინანსების ან/და საკონსულტაციო მომსახურების ან/და ტრენინგის ჩატარების გზით;
- სააგენტოს მიერ განხორციელებული/განსახორციელებელი პროექტებით/პროგრამებით გათვალისწინებული დარგისა და მიმართულებების გაძლიერება და მხარდაჭერა.

2025 წელს განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

ბენეფიციარებთან გაფორმდა 43 ხელშეკრულება. ინვესტიციის ოდენობამ შეადგინა 762,549 ლარი, საიდანაც ხელშეკრულებით განსაზღვრული სააგენტოს თანადაფინანსებაა 402,672 ლარი. აქედან:

- სურსათის უვნებლობის საერთაშორისო სტანდარტის დანერგვა/სერტიფიცირების მიზნით გაფორმდა 31 ხელშეკრულება;
- 12 ბენეფიციართან გაფორმდა ბრენდირების ხელშეკრულება.

საანგარიშო პერიოდში 34 ბენეფიციარის მიერ დანერგილია სურსათის უვნებლობის საერთაშორისო სტანდარტი და 17 ბენეფიციარის მიერ ბრენდირებულია კომპანია/პროდუქცია.

2.10 ბიოწარმოების ხელშეწყობის პროგრამა

პროგრამის მიზანი:
ბიოწარმოების ხელშეწყობის პროგრამის მიზანია ბიოწარმოების მხარდაჭერა ბიოპროდუქტების წარმოების ზრდის უზრუნველსაყოფად. პროგრამის ამოცანაა ბიოწარმოების მსურველი პოტენციური ბენეფიციარების ფინანსური მხარდაჭერა.

პროგრამა ითვალისწინებს, კონვერსიის პერიოდში გაწეული შემდეგი მიზნობრიობების ანაზღაურებას: 1. ბიოწარმოების სერტიფიცირება; 2. საკონსულტაციო მომსახურება; 3. ორგანულ მეურნეობაში დაშვებული ორგანული სასუქების ან/და მავნებლებისა და დაავადებების წინააღმდეგ გამოსაყენებელი ბიოპრეპარატების შეძენა; 4. ფუტკრის სამკურნალო ბიოპრეპარატების და ბიოფიჭის შეძენა; 5. თაფლისა და ცვილის ლაბორატორიული ანალიზის მომსახურება.

პროგრამის გავრცელების გეოგრაფიული არეალია საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტი და თვითმმართველი ქალაქი.

2025 წელს განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

- გაფორმდა 4 ხელშეკრულება, ჯამური თანხით - 51,436 ლარი, საიდანაც ხელშეკრულებებით გათვალისწინებული თანადაფინანსების მოცულობა შეადგენს - 36,006 ლარს;

- მიმდინარეობდა გასული წლების განმავლობაში აღებული ვალდებულებების შესრულება - თანადაფინანსება მიიღო 21 ბენეფიციარმა.

2.11 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისთვის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის თანადაფინანსების სახელმწიფო პროგრამა

პროგრამის მიზანი:
პროგრამის მიზანია სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ხელშეწყობა და მათთვის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა. პროგრამის ამოცანაა სასოფლო-სამეურნეო

კოოპერატივებისთვის, თანადაფინანსების გზით, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შესასყიდად საჭირო ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა.

2025 წელს განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

- გაფორმებულია 78 ხელშეკრულება ჯამური თანხით - 7,139,863 ლარი, საიდანაც ხელშეკრულებებით გათვალისწინებული თანადაფინანსების მოცულობა შეადგენს - 3,495,496 ლარს;
- პროგრამის ფარგლებში თანადაფინანსებულია 275 ტექნიკის და იმპლიმენტის შეძენა.

2.12 ფერმათა/ფერმერთა რეგისტრაციის პროექტი

პროექტის მიზანი:
„ფერმათა/ფერმერთა რეგისტრაციის პროექტი" არეგულირებს ფერმათა/ფერმერთა ერთიანი რეესტრის სისტემას, რითაც მოხდება სასოფლო-სამეურნეო საქმიანობით დაკავებული პირების, მათი სასოფლო-სამეურნეო საქმიანობისა და მათ საკუთრებაში/სარგებლობაში არსებული სასოფლო-სამეურნეო აქტივების შესახებ ინფორმაციის ერთიან ელექტრონულ ბაზაში კონსოლიდაცია. პროექტის მიზანია, საქართველოს მასშტაბით სასოფლო-სამეურნეო საქმიანობით დაკავებული ყველა პირის აღრიცხვა (გარდა იმ პირებისა, რომლებიც სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას ეწევიან მხოლოდ საქართველოში რეგისტრირებული იურიდიული პირ(ებ)ის დაკვეთით ან/და გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე), რაც შესაძლებლობას მისცემს სახელმწიფოს ფლობდეს მათ შორის სტატისტიკურ ინფორმაციას, რომელიც გამოყენებული იქნება სამიზნე ჯგუფების სწორი შერჩევისთვის და მათთვის სხვადასხვა მასტიმულირებელი პროექტების/პროგრამების საჭიროებისამებრ დაგეგმვისა და განხორციელებისთვის.

2025 წელს განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

- „ფერმათა/ფერმერთა რეგისტრაციის პროექტის" ფარგლებში საანგარიშო პერიოდში დარეგისტრირდა 12,352 ფერმა/ფერმერი.

2026 წელს ა(ა)იპ - სოფლის განვითარების სააგენტოს მიერ დაგეგმილი აქტივობები და შესაბამისი სამიზნე ინდიკატორები
(„ხედვა 2030"-ს სამოქმედო გეგმის შესაბამისად)

<u>შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტი:</u>

- ბანკების მიერ 4,300 ბენეფიციარზე გაიცემა 5,000 შეღავათიანი სესხი/ლიზინგი;
- განხორციელდება 31,000 შეღავათიანი სასოფლო-სამეურნეო სესხის/ლიზინგის საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსება.

<u>სახელმწიფო პროგრამა დანერგე მომავალი:</u>

- პროგრამაში მიიღებს მონაწილეობას 330 ბენეფიციარი;
- გაშენდება/დაკონტრაქტდება დამატებით 2 400 ჰა ახალი ბაღი.

<u>აგროდაზღვევის პროგრამა:</u>

- პროგრამაში მიიღებს მონაწილეობას 7,500 ბენეფიციარი;

- 16,200 ჰა მიწის ფართობზე დაზღვეულ იქნება მოსავალი.

გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების პროექტი:

- სრულად ან ნაწილობრივ დაფინანსდება 46 გადამამუშავებელი საწარმოს ან/და შემნახველი ინფრასტრუქტურის შექმნა.

ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამა „ქართული ჩაი“:

- განხორციელდება 130 ჰა ჩაის პლანტაციების რეაბილიტაცია.

სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის თანადაფინანსების პროგრამა:

- განხორციელდება 70 ბენეფიციარისთვის მოსავლის ამღები ტექნიკის შეძენის თანადაფინანსება.

კოოპერატივებისთვის სასოფლო-სამეურნეო მექანიზაციის თანადაფინანსების სახელმწიფო პროგრამა:

- განხორციელდება 30 ბენეფიციარისთვის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შეძენის თანადაფინანსება.

ფერმათა/ფერმერთა რეგისტრაციის პროექტი:

- ფერმათა/ფერმერთა რეგისტრაციის პროგრამაში დარეგისტრირდება 12,000 ფერმერი/ფერმერული მეურნეობა.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამა:

- 5 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი აღიჭურვება ნედლეულის მიმღებ-გადამამუშავებელი საწარმოსათვის საჭირო აღჭურვილობებით.

ტექნიკური დახმარების სახელმწიფო პროგრამა:

60 ბენეფიციარი მოახდენს სურსათის უვნებლობის საერთაშორისო სტანდარტის დანერგვას ან/და ბენეფიციარი მოახდენს კომპანიის/პროდუქციის ბრენდირებას.

ბიო წარმოების ხელშეწყობის პროგრამა:

- 24 ბენეფიციარი მიიღებს თანადაფინანსებას/გააფორმებს ხელშეკრულებას.

სახელმწიფო პროგრამა „ქართული ბოსტნეული სათბურებიდან“:

- ხელშეკრულება გაფორმდება 50 ბენეფიციართან.

მეფუტკრეობის მხარდაჭერის პროგრამა:

- ხელშეკრულება გაფორმდება 250 ბენეფიციართან.

მერძევეობის დარგის მოდერნიზაციის და ბაზარზე წვდომის პროგრამის საგრანტო კომპონენტი: (DiMMA) (IFAD)

- თანადაფინანსებას მიიღებს 78 ბენეფიციარი.

მუნიციპალიტეტები

საქართველოში დასაქმების ხელშემწყობი სისტემა ფუნქციონირებს მუნიციპალიტეტების მხარდაჭერით. კანონის 55-ე მუხლით განსაზღვრულია მუნიციპალიტეტების ორგანოების უფლებამოსილებები ამ სფეროში. კერძოდ:

- ხელს უწყობენ და ეხმარებიან დასაქმების სააგენტოს რეგიონულ წარმომადგენლობას თავისი უფლებამოსილების განხორციელებაში;
- ახორციელებენ დასაქმების ხელშეწყობის ღონისძიებებს.

აღსანიშნავია, რომ ყველა მათგანი თანამშრომლობს დასაქმების სააგენტოსთან და ჩართული იყო „საზოგადოებრივ სამუშაოებზე დასაქმების ხელშეწყობის ქვეპროგრამის" განხორციელებაში და ყველა მათგანმა თავისი წვლილი შეიტანა ამ პროცესში.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ის მუნიციპალიტეტები, რომლებმაც ამ ქვეპროგრამის დაფინანსების გარეშე გააგრძელეს წამოწყებული ინიციატივა და თავად სთავაზობენ დასაქმებას სოციალურად დაუცველ პირებს.

არის მუნიციპალიტეტები, რომლებიც ზემოაღნიშნული პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების გარდა, დამატებით ძალისხმევას მიმართავენ, აქტიურად არიან ჩართულნი სხვადასხვა პროგრამებსა და პროექტებში და განსხვავებულ სერვისებსაც სთავაზობენ მოსახლეობას, ასე , მაგალითად:

ბოლნისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედებს ისეთი მსხვილი კომპანიები როგორებიც არის სს „არემჯი" და შპს „კავკასიის სამთო ჯგუფი", რომლებზეც მოდის დასაქმებულთა საკმაოდ დიდი რაოდენობა (4000 - დან და 4500 -მდე დასაქმებული), კომერციული ბანკები და ასევე, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მოქმედი ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომლებიც იყენებს დაქირავებულ შრომას.

მუნიციპალიტეტს ყოველდღიურად მომართავენ დასაქმების მსურველები. აღნიშნული მოქალაქეების მონაცემები რეგისტრირდება ბაზაში და ეს მონაცემები პროფესიული უნარ-ჩვევის შესაბამისად, პერიოდულად მიეწოდებათ ფიზიკურ და იურიდიული პირებს, რომლებიც იყენებს დაქირავებულ შრომას.

ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერია დასაქმების ხელშეწყობის მიზნით, აწარმოებს დასაქმების მსურველ პირთა ბაზას. კერძო სექტორში არსებულ ვაკანტურ ადგილებთან დაკავშირებით ინფორმაციის მიღებისთანავე, მერია ახდენს დასაქმების მსურველ პირთა ინფორმირებას და დამსაქმებლებთან დაკავშირებას.

2025 წლის მდგომარეობით **დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში** დედოფლისწყაროს ცენტრალური პარკისა და ციხე- ქალაქ „ხორნაბუჯის" მიმდებარე ტერიტორიის მოვლა-პატრონობის სამსახურმა შექმნა 16 ვაკანტური ადგილი, შესაბამისი სამუშაოს მაძიებლების დასასაქმებლად. ასევე ა(ა)იპ - დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის ცენტრში შეიქმნა 3 ვაკანტური ადგილი „დინამოს აკადემიის" მიერ დატრენინგებული ფეხბურთის მწვრთნელების დასასაქმებლად. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერია კვლავ აქტიურად გააგრძელებს მუშაობას დასაქმების ხელშეწყობისა და დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნის მიზნით.

2025 წელს **ზუგდიდის მუნიციპალიტეტში** აღრიცხულ იქნა დარგში დასაქმების და სოფლის მეურნეობის მიმართულებით სახელმწიფო პროგრამებში მონაწილეობის მსურველები.

ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების ხელშეწყობის მიზნით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ხორციელდება სხვადასხვა მიზნობრივი პროგრამები, კერძოდ: „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საზღვრებში მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის (ფურების) ხელოვნური განაყოფიერების პროცედურის მომსახურება“, „საქართველოს მთავრობის მიერ დაგეგმილი სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების ხელშეწყობის ფარგლებში სახელმწიფო პროგრამა „დანერგე მომავალი“-ში მონაწილე ფერმერების ხელშეწყობა, „ნიადაგის ლაბორატორიული კვლევების ღირებულების თანადაფინანსება“. ზემოთ აღნიშნული პროგრამების საფუძველზე, მერიის შესაბამისი სამსახურების ხელშეწყობით შესაძლებელი გახდა, წინა წლებთან შედარებით, ადგილობრივ პროგრამებში მონაწილეობის მსურველი ბენეფიციარების მზარდი დასაქმება და მათი სამუშაო პირობების გაუმჯობესება.

მერიის მჭიდრო თანამშრომლობით მოსახლეობასთან, აქტიურად ხორციელდება სახელმწიფო პროგრამაში მონაწილეობის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, რეკომენდაციის გაცემა და ტექნიკური დოკუმენტის წარდგენაში დროული მხარდაჭერა.

მარტვილის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ინფრასტრუქტურული პროექტების (მაგ: სკოლები, ბაღები, საგზაო ინფრასტრუქტურა, ნაპირსამაგრები, ხიდ-ბოგირები, სპორტული მოედნები და ა.შ) განსახორციელებლად 2025 წელს დასაქმებული იყო 80-მდე ადამიანი, ხოლო 2026 წელს დასაქმდება დაახლოებით 100-მდე ადამიანი;

2025 წელს მუნიციპალიტეტის სკოლებში დასაქმდა 94 მძღოლი, ასევე ა(ა)იპ - სკოლამდელ საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებაში დასაქმდა, 41 პერსონალი.

2025 წელს კერძო სექტორში დასაქმებული იყო 115 ადამიანი, 2026 წელს დაახლოებით დასაქმდება 55 ადამიანი.

ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და ეკონომიკური განვითარების სამსახურის 2025 წელს დასაქმების ხელშეწყობის მიზნით განხორციელებული და სამომავლო აქტივობები:

სამსახურის დასაქმების სპეციალისტი ვაკანსიების მოძიების მიმართულებით მუდმივად თანამშრომლობს კერძო სექტორის წარმომადგენლებთან. პერიოდულად ხორციელდება, როგორც არსებული ვაკანსიების, ასევე დასაქმების მაძიებელთა მონაცემთა ბაზები.

საანგარიშო პერიოდში დასაქმების თხოვნით ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიას მომართა 344-მა მოქალაქემ, საიდანაც 176 ადამიანი დასაქმდა (კერძო სექტორში).

2026 წელს გაგრძელდება არსებული სამუშაო ფორმატი დასაქმების მიმართულებით. ასევე დაგეგმილია ორი დასაქმების ფორუმის ჩატარება კერძო და საჯარო სექტორებს შორის თანამშრომლობის ფარგლებში. გარდა ამისა დაგეგმილია შრომის ბაზრის საჭიროებების კვლევის განხორციელება იმ დარგებში, რომლებიც კადრების დეფიციტს განიცდის, რაც მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს ქალაქში მოქმედი საწარმოო და ბიზნეს სექტორისთვის. ამასთან, მიმდინარეობს თანამშრომლობა პროფესიულ სასწავლო კოლეჯ „მოდუსთან“, რათა მოხდეს დეფიციტური სპეციალობების აკრედიტაციის ინიციირება.

საჩხერის მუნიციპალიტეტის მერია სათანადო ყურადღებას უთმობდა მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების სამშენებლო სამუშაოებზე ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებას.

ამ მიმართებით გასულ წელს სხვადასხვა ინფრასტრუქტურული ობიექტების მშენებლობაზე დასაქმებულ იქნა 200-ზე მეტი ადგილობრივი მცხოვრები.

2025 წელს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სხვადასხვა ა(ა)იპ-ში დასაქმდა 136 პირი, მათ შორის სეზონურ სამუშაოებზე 43 პირი. მიმდინარე წლის მდგომარეობით (2026 წ.) დასაქმებულია 32 პირი.

ასევე ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის მერია, მოქალაქეების მომართვის შესაბამისად, უზრუნველყოფს კერძო სექტორთან შუამდგომლობის გაწევას, მათი დასაქმების ხელშეწყობის მიზნით.

ამასთან, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 18 დეკემბრის N 14/66 განკარგულებით დამტკიცებულია ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტი (2024-2027 წ.), რომლითაც მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მიზნად განსაზღვრულია ეკონომიკური გარემოს გაუმჯობესება, ხოლო ერთ-ერთ ამოცანას წარმოადგენს დასაქმების ხელშეწყობა, სხვადასხვა აქტივობების განხორციელებით.

ქედის მუნიციპალიტეტის მერია აქტიურად თანამშრომლობს სსიპ - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტოს ქედის განყოფილებასთან. ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმება წარმოადგენს მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს. ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პროგრამული ბიუჯეტით გათვალისწინებული ინფრასტრუქტურული სამუშაოების განხორციელების პროცესში ჩართულია ადგილობრივი მოსახლეობა, მათი დასაქმება სატენდერო შესყიდვის ხელშეკრულებაში ერთ-ერთ ოფიციალურ მოთხოვნად პირობას წარმოადგენს.

ანალოგიური პრინციპით გაგრძელდება დასაქმების პოლიტიკის განხორციელება 2026 წელსაც.

ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის სოციალურ საკითხთა სამსახური დასაქმების ხელშეწყობის მიზნით, მოწყვლად ჯგუფებთან ახორციელებს შემდეგ ქვეპროგრამებს:

- „ბავშვიანი ოჯახების ეკონომიკური გაძლიერება“ - ქვეპროგრამა დაინერგა ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების სოციალური მუშაკების მიერ მაკრო დონეზე არსებული პრობლემების იდენტიფიცირების საჭიროებათა შეფასების, პრიორიტეტების დადგენის საფუძველზე. ქვეპროგრამა მიმართულია ბავშვიანი ოჯახებისათვის გრძელვადიან მხარდაჭერაზე. ქვეპროგრამის ფარგლებში 2025 წლის განმავლობაში დასაქმდა 8 მოწყვლად მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახი. ისინი დარეგისტრირებულნი არიან ინდივიდუალურ მეწარმეებად და ასრულებენ სამეწარმეო საქმიანობას (ჭრა-კერვა, სარემონტო სამუშაოები);

- ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების სოციალური მუშაკები, სოციალური მუშაობის მიკრო დონეზე ინდივიდუალურად ახდენენ ინტერვენციას სოციალურ გარემოში, მათ შორის დასაქმების კუთხით, კერძოდ, რეფერირებას დასაქმების სააგენტოში;

- ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიაში ახალგაზრდების ლიდერული უნარ-ჩვევების, ტექნოლოგიური ცოდნის და კომპეტენციების განვითარებისათვის ფუნქციონირებდა ზამთრისა და ზაფხულის ლიდერთა სკოლები და ჩატარდა·ახალგაზრდების ონლაინ სწავლება (Sk illwill).

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში 2025 წელს განხორციელებული ღონისძიებები მოიცავს:

• სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულებაში დროებით დასაქმებულთა რაოდენობამ სულ შეადგინა 79 კაცი;

• ჩხოროწყუს №1, კირცხის-სარაქონის, ზუმის, ნაფიჩხოვოს საჯარო სკოლების, ლესიჭინის №3 და ქალაქ ჩხოროწყუს №1 საბავშვო ბაღების მშენებლობაზე დასაქმებული იყო სულ 64 ადგილობრივი პირი;

- ლეწურწუმეს საჯარო სკოლის, მუხურის №2 საბავშვო ბაღის და ქალაქ ჩხოროწყუს კულტურის სახლის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესრულებაში დროებით სამუშაოზე დასაქმდა სულ 54 ადგილობრივი პირი;

- გასული წლის ნოემბერში ექსპლუატაციაში შევიდა ჰიდროელექტროსადგური ხობი 2 სადაც მუდმივ სამუშაოზე აყვანილ იქნა 41 ადგილობრივი;

- მუნიციპალიტეტის 20 საჯარო სკოლაში ავტოტრანსპორტით მოსწავლეთა გადაყვანის სამუშაოებზე დასაქმებულია 105 ადგილობრივი მძღოლი;

- მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურულ სამუშაოებზე (გზების მოასფალტება, ხიდების მშენებლობა-რეაბილიტაცია, სხვადასხვა შენობების შეკეთება-რეაბილიტაცია, გაბიონების მოწყობა, სამედიცინო ამბულატორიის მშენებლობა და სხვა). სულ დასაქმებული იყო 170 ადგილობრივი მკვიდრი;

- სოფ. ლესიჭინეში, სოფ. მუხურში არსებული სამშენებლო ბლოკის საამქროებში მუდმივ და დროებით სამუშაოზე დასაქმებული იყო 30 კაცი.

დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში **წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერია** ახალგაზრდების მხარდაჭერის მიზნით წინასწარ გაწერილი ღონისძიების გეგმის მიხედვით ახორციელებს სტუდენტთა დასაქმებას. შემუშავებულია სტუდენტთა დასაქმების პროგრამა „Summer Job“ და მასში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ საქართველოში ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ბაკალავრიატის სტუდენტებს, მათ ეძლევათ შესაძლებლობა აირჩიონ საკუთარი პროფესიის შესაბამისად სასურველი სფერო (მუნიციპალიტეტის მერია და მისი მმართველობის სფეროში მოქმედი ა(ა)იპ - იები). გეგმა „Summer Job“ გამიზნულია იმისთვის, რომ სტუდენტებმა შეძლონ კვალიფიკაციის ამაღლება და გამოცდილების მიღება იმ სფეროში, რომელშიც მომავალში სურთ დასაქმდნენ, აღნიშნული პროგრამის ბიუჯეტი შეადგენს 45 000 ლარს, რომელიც გათვლილია 60 სტუდენტზე. აღნიშნული პროგრამა მუნიციპალიტეტმა განახორციელა 2025 წელს, ხოლო 2026 წელის ბიუჯეტში მსგავსი პროგრამის განსახორციელებლად გათვალისწინებულია 45 000 ლარი.

ხონის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი ხელისუფლებისა და სახალხო უნივერსიტეტთა გერმანული ასოციაციის საქართველოს ფილიალის „თბილისის პროექტთა ბიუროს“ (DVV INTERNATIONAL) თანამშრომლობის საფუძველზე, ფუნქციონირებს ა(ა)იპ - ხონის სათემო განათლების ცენტრი, რომელიც ზრდასრულთა განათლებასა და დასაქმების ხელშეწყობას ემსახურება. 2025 წლის განმავლობაში, აღნიშნულ ცენტრში, მოკლევადიანი პიროვნული და პროფესიული განვითარების კურსები (საოფისე კომპიუტერული პროგრამები, ინგლისური ენა, გიდის მომზადება, ბიზნეს იდეის წერა და მართვა, ელექტრო შედუღება, ჭრა-კერვა) გაიარა 200-მდე ზრდასრულმა. თითოეულ მათგანს გადაეცა არაფორმალური განათლების დამადასტურებელი სერტიფიკატი, რომლის საფუძველზეც ბევრი მათგანი წარმატებით დასაქმდა.